პროლეტარიანებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 169 (19610) ◆ ოთხშაბათი, 23 ივლისი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა

კეთილი ნების ასპარეზობის მონაწილე საბჭოთა სპორტსმენებს

21 ივლისს კრემლში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრა საბჭოთა სპორტსმენებთან — კეთილი ნების ასპარეზობების გამარჯვებულებთან და პრიზიორებთან.

თავის მისალმებაში მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ კეთილი ნების ასპარეზობა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების, მსოფლიოს სპორტული მოძრაობის დიდი მოვლენა გახდა. იგი განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს საერთაშორისო სპორტულ კალენდარში, ვინაიდან ასპარეზობის დაბადებამ გამოხატა დროის მოთხოვნა, მშვიდობიანად და თანხმობით ცხოვრების მოსურნე ხალხების კეთილი ნება. სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სპორტული ორგანიზაციების, საქმიანი წრეებისა და საზოგადოებრიობის ინიციატივამ კეთილი ნების ასპარეზობათა მოწყობის თაობაზე მთლიანად გაამართლა და აქტიური მხარდაჭერა პოვა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. უძლიერესი ათლეტებისათვის ასპარეზობები იქცა ჩინებულ შესაძლებლობად ესინჯათ ძალა ოლიმპიურ ასპარეზობათა შუა გზაზე.

ასპარეზობები გახდა კიდევ ერთი ნაბიჯი ხალხთა შორის ნდობისა და ურთიერთგაგების განმტკიცების გზაზე, იგი იქცა მშვიდობიან დემოკრატიულ საფუძველზე ახალგაზრდობის თანამშრომლობისა და ინტერნაციონალური ერთიანობის მაგალითად. მ. ს. გორბაჩოვმა გულითადად მიულოცა საბჭოთა სპორტსმენებს წარმატებული გამოსვლა ასპარეზობებზე, უსურვა მათ ახალი მიღწევები სპორტში, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, გადაუხადა მადლობა სტუმარმოყვარეობისა და სითბოსათვის, რაც მათ საზღვარგარეთელი სპორტსმენების მიმართ გამოიჩინეს.

შეხვედრის დროს აღინიშნა, რომ სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში იყვნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, ქალაქების, მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენლები. ასეთი ფერადოვანი რეპრეზენტაცია მოწმობს, რომ ფიზიკური კულტურა და სპორტი, ხალხის ჯანმრთელობისათვის ზრუნვა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელი ყურადღების საგანი გახდა. ამასთან ხაზგასმით ითქვა, რომ საჭიროა კეთილი ნების ასპარეზობების გამოყენება მთელი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის აქტივიზაციისათვის, მეტადრე შრომითს კოლექტივებში, მოსახლეობის საცხოვრებელ და დასასვენებელ ადგილებში.

შეხვედრაზე გამოვიდნენ სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე მ. ვ. გრამოვი, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ს. ნ. ბუბკა, სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ო. ი. კრივოშეევა, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ლ. ი. არკაევი, რომლებმაც გააკეთეს ინფორმაცია შეჯიბრების შედეგების შესახებ, გამოთქვეს შთაბეჭდილებები სპორტული ბრძოლის მიმდინარეობის, საზღვარგარეთელ თანატოლებთან შეხვედრების თაობაზე. მათ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს აღუთქვეს, რომ საბჭოთა სპორტსმენები კვლავაც იქნებიან საერთაშორისო სპორტული მოძრაობის აქტიური მონაწილენი, კონკრეტული საქმეებით შეასახამენ ხორცს კეთილი ნების ასპარეზობების დევიზს — „სპორტში მეგობრობიდან — ქვეყნად მშვიდობისაკენ“.

შეხვედრამ უაღრესად გულთბილ და გულითად ვითარებაში ჩაიარა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. მირონენკო.

(საკადესი).

პირველი მდივანი

ალკკ XXVII ყრილობის შემდეგ განვლილმა დრომ ცხადყო, რომ ჩანაფიქრთა ენერგიის მოკმედების ენერგიად გადაქცევა შეუძლებელი, თუ არ გარდავქმნით პარტიული ხელმძღვანელობის სტილსა და მეთოდებს. ამაში უდიდესი როლი ეკისრებათ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველ მდივნებს, აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე. სწორედ ისინი არიან მოვალენი ტონი მისცენ მუშაობას წარმოაჩინონ ფართო პოლიტიკური თვალსაწიერი, ამოცანათა გაგების სიღრმე, ორგანიზატორული უნარი, დიდი პასუხისმგებლობა, კრიტიკული და თვითკრიტიკული მიდგომა შეფასებებში, პარტიულობა ამ სიტყვის უმაღლესი გაგებით. მათს პოზიციაზე, მოქმედებასა და ქცევაზე ბევრად არის დამოკიდებული, რამდენად თანამიმდევრულად და ენერგიულად წარიმართოს საქმე ადგილებზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ, ხანგრძლივ-ხანრძივნო კამპანიის დროს ბევრი რამ გაკეთდა იმისათვის, რომ განმტკიცებულიყო პარტიული ხელმძღვანელობა რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული პარტორგანიზაციებისადმი. ქვეყანაში დაწყებული გარდაქმნა დიდ ასპარეზს უქმნის ინიციატივის, შემოქმედებითი ძიების განვითარებას. და ბევრმა პირველმა მდივანმა გამოიჩინა თავი კონკრეტული საქმეებით.

აი სტეფანე დიმიტრის ძე მომოტი, სკკპ ომსკის რაიკომის პირველი მდივანი, რომელსაც ამ დღეებში მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის სამაგალითო წოდება. რითი გამოირჩევა იგი უწინარეს ყოვლისა? უნარით, ყურად იღოს ადამიანების ხმა, სიახლის განვითარებული გრძნობით, დასახულ ამოცანათა გაგებული გადაწყვეტით. მან შეძლო შეექმნა რაიონში საქმიანი ვითარება, როცა თითოეულმა იცის, რა უნდა აკეთოს კონკრეტულად და როგორ აკეთოს. მომოტი მომთხოვნი და ამასთან გულისხმიერი ადამიანია, იგი ყოველთვის ხალხშია, ცხოვრობს მისი საქმეებითა და საზრუნავით.

ასეთი ხელმძღვანელი ბევრი გვყავს. კეთილი სიტყვით იხსენებენ ადამიანები ბელორუსის კომპარტიის ბრესტის საოლქო კომიტეტის, სკკპ ულიანოვსკის საოლქო კომიტეტის, სკკპ ირკუტსკის საოლქო კომიტეტის, სკკპ ლენინგრადის მოსკოვის რაიკომის, უკრაინის კომპარტიის ჩერკასის რაიკომის, ლიტვის კომპარტიის პასვალის რაიკომის, თურქმენეთის კომპარტიის თურქმენ-კალინის რაიკომის პირველ მდივნებს ეფრემ ეხსი ძე სოკოლოვს, გენადი ვასილის ძე კოლბინს, ვასილ ივანეს ძე სიტნიკოვს, ბორის ანდრიას ძე იაკოვლევს, ნიკოლოზ ივანეს ძე ჩეპურნის, სტასის ონონის ძე ბარტკუს, ბაირამ ამანის ძე ოვეზოვს, ბევრ სხვა ამხანაგს, ვინც უნარიანად და კეთილსინდისიერად იხდის თავის ვალს პარტიისა და ხალხის წინაშე.

მაგრამ ჯერ ყველა პარტიულ ორგანიზაციაში როდი დამკვიდრდა საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების სულისკვეთება. უალრესად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა ადმინისტრაციული, საკომანდო-საქალაქლდე სტილი ბევრ კომიტეტში. დილიდან დაღამებამდე მიმდინარეობს, მაგალითად, ბიუროს სხდომები აღმოსავლეთ ყაზახეთის ოლქის ზარიანის საქალაქო კომიტეტსა და ალმა-ათის ოლქის პარტიის ილის რაიკომში. ქალაქდომთბჭველობამ გაიტაცა, გადაწყვეტილებას გადაწყვეტილებაზე იღებს ერთი და იგივე საკითხის გამო პარტიის სემიპალატინსკის ოლქის ბესკარაგაის-კის რაიკომი. ამ კომიტეტების პირველი მდივნები გ. სოროკოვი, ვ. ბირბაევი, და მ. ევდაკოვი ზემდგომ ორგანოებს მიმართავენ კითხვით: „რით დავიწყოთ გარდაქმნა?“

ასეთი ფაქტები ბევრ რამეში იმით აიხსნება, რომ პარტიის მთელი რიგი საოლქო კომიტეტები ჯეროვან მაგალითს ვერ უჩვენებენ. ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგებს ისლაჯდა, მწვავედ გააკრიტიკეს პარტიის ჩრდილოეთ-ყაზახეთის, ტურგაის, ყარაღანდის, პავლოდარის საოლქო კომიტეტებისა და მათი პირველი მდივნების ვ. სტეპანოვის, ო. კუანიშევის, ა. კორკინის, პ. ერპოლოვის მუშაობის სტილი. უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე სერიოზული პრეტენზიები წაუყენეს პარტიის ხმელნიცკისა და ტერნოპოლის საოლქო კომიტეტების მუშაობას, რომლებსაც სათავეში უდგანან ვ. დიკუსაროვი და ა. კორნიენკო. ისინი არ ჩქარობენ გარდაქმნას.

ყრილობამ პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელებს მიზნად დაუსახა ხელმძღვანელობის პოლიტიკური მეთოდების ათვისება. ცვლილებათა აზრი ის არის, რომ პარტიული მუშაობა დავუახლოოთ ადამიანს, ვეწეოდეთ მას ფართო დემოკრატიზმის ვითარებაში. მთავარია პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებები არ შევცვალოთ ლაუბობითა და კამათით, ქალაქდომთბჭველობით და რეზოლუციებით, ყველანაირი სხდომებითა და თათბირებით. ცხოველი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა მასების შუაგულში, მაღალი მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და ხელქვეითებისადმი, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის ატმოსფერო, მიღწეულის კრიტიკული შეფასება, კონკრეტული პრაქტიკული შედეგების მიღწევის მიზნად დასახვა — აი რა მოგვეთხოვება დღეს. და აქ პირველი სიტყვა უნდა თქვან და პირველი ნაბიჯი უნდა გადადგან პირველმა მდივნებმა.

მრავალი პრობლემა აქვს გადასაჭრელი პარტიული კომიტეტის პირველ მდივანს. ეს არის ტექნიკური პროგრესის, მეცნიერებისა და კულტურის პრობლემები, იდეოლოგიური მუშაობა, ადამიანების აღზრდა, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვის განვითარების საკითხები... ყველაფერს უნდა ჩავწვდეთ, ყველაფრისათვის პასუხი უნდა ვაგოთ. რაგორ უნდა გავართვათ თავი ამდენ ამოცანას? წარმატება თან სდევს იმას, ვინც თავად კი არ ეპოტინება ყველაფერს, არამედ უნარიანად იყენებს ბიუროს წევრების, აპარატის, არჩიული აქტივის, სპეციალისტთა გამოცდილებას. საჭიროა არ აღმოვჩნდეთ მიმდინარე საქმეთა ტყვეობაში, არამედ განვსაზღვროთ მთავარი მიმართულებანი, ძალისხმევის წერტილები, ახპარეზი მივცეთ ინიციატივან, ენერგიულ, მოაზროვნე და გაბედულად, არასტანდარტულად მოქმედ ადამიანებს. ყოველმხრივ უნდა გავზარდოთ პირველადი პარტორგანიზაციების მებრძოლურობა. ამაზე, თუ როგორ მოქმედებენ ისინი, საბოლოო ანგარიშით დამოკიდებულია ყველა გეგმის წარმატება.

პირველი მდივანი ყოველთვის ჩანს. ზოგი ვერ უძლებს ამ თანამდებობის გამოცდას. ამას წინათ, მაგალითად, მკაცრად დასაჯეს და გაათავისუფლეს თანამდებობიდან პარტიის ბორკის ოლქის ლუკოიანოვის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ლოზგაჩევი. მან გამოიჩინა მოურიდებლობა თავისი სახლის გამართვის დროს. ჩაიდინა სხვა ბოროტმოქმედება, არ რეაგირდება ადამიანების კრიტიკაზე, საჩივრებსა და შენიშვნებზე

ხალხი სამართლიანად გმობს განდიდების მანიას, ქედმაღლურ ტონს, ხელქვეითებისადმი აგდებულ დამოკიდებულებას. არ არის აღმოფხვრილი პროტექციონიზმის, მაამებელი ადამიანების დაწინაურების, აშკარად ავტორიტეტდაკარგული, ზოგჯერ კი სახელგატეხილი მუშაკების მფარველობის შემთხვევები. კარგი არაფერი მოჰყვება ამას, როცა „პირველის“ დაახლოებულთა შორის ზლიქვნელები ჭარბობენ. ეს მანკიერება მაშინ იზრდება, როცა კომპარტიაში დაკნინებულია ბიუროს, პლენუმების როლი, არ არის შექმნილი მომთხოვნელობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ატმოსფერო. დროზე გავუსწოროთ ამხანაგს — როგორც ზემდგომი ორგანოების, ისე მის გვერდით მომუშავეთა მოვალეობაა.

თითოეულის მუშაობის სტილი ინდივიდუალურია, მაგრამ მას საფუძვლად უდევს საერთო მოთხოვნა ვიშრომოთ და ვიცხოვროთ ლენინურად. პირველი მდივანი სხვებისათვის ორიენტირია მუშაობაშიც, ქცევაშიც, ყოფაშიც. კომპეტენტურობა, პარტიის საქმის უანგარო სამსახური, ბოლშევიკური მოკრძალება, პრინციპულობა, მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და სხვებისადმი, გულითადობა და გულისხმიერება ადამიანებისადმი — აი ის თვისებები, რომლებიც ორგანული უნდა იყოს მასთან.

ავტორიტეტს თანამდებობა ვერ მოუხვეჭს ადამიანს. იგი უნდა მოიპოვოს ყოველდღიური პრაქტიკული საქმეებით. პირველი მდივანს ავტორიტეტი პარტიის ავტორიტეტია. გავუფრთხილდეთ და ვამრავლოთ იგი — ნიშნავს ვიმუშაოთ ენერგიულად, ძალების ხარჯვლი უკუგებით, ვზარდოთ წარმატებები კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

დაჩქარება ხუთწლედის დევიზია

შეჯიბრების გამარჯვებული

შეჯამდა შედეგები 1985 წლის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრებისა, რომელიც „მიმდინარეობს დევიზით „სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა, თითოეული ორგანიზაცია რეზერვების ძიებისა და წარმოებასთან მეცნიერების ინტეგრაციის შტაბია“. მიღებულ დადგენილებაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, რესპუბლიკის პროფსაბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა აქტიური ხელშეწყობით რესპუბლიკის მრეწველობამ დამატებით გამოუშვა 60 მილიონ მანეთისაზე მეტი ზეგეგმითი პროდუქცია, შექმნა ახალი ტიპების მანქანების, მოწყობილობის, აპარატურის, ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებათა 80 ნიმუში. კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციაზე გადაყვანილია 182 უბანი, საამქრო და საწარმო, დაყენებულია 240-ზე მეტი მექანიზებული, ნაკადური და როტორული ხაზი, 86 სამრეწველო რობოტი, 80 რიცხვული პროგრამული მართვის ლითონსაჭრელი ჩარხი და ა. შ.

1985 წელს რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგების მიღწევისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და რესპუბლიკის ალკკ ცენტრალური კომიტეტის გადმამავალი წითელი დროშა, პირველი ხარისხის დიპლომი და ფულადი პრემია მიენიჭა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა პირველადი ორგანიზაციის საბჭოს.

მეორე ხარისხის დიპლომი და ფულადი პრემია მიენიჭა თბილისის ლითონკონსტრუქციებისა და საგზაო ტექნიკის სარემონტო საცდელ-ექსპერიმენტული ქარხნის სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა პირველადი ორგანიზაციის საბჭოს.

მესამე ხარისხის დიპლომი და ფულადი პრემია მიენიჭა რუსთავის საქალაქო აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა პირველადი ორგანიზაციის საბჭოს.

აღინიშნა საბჭოთა კავშირის ს. ი. ჟუკის სახელობის ლენინის ორდენოსანი საპროექტო-საძიებო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „ჰიდროპროექტის“ თბილისის განყოფილების, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის, საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს, საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლისა“ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. გ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა პირველადი ორგანიზაციების საბჭოების მუშაობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, რესპუბლიკის პროფსაბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვეს რწმენა, რომ რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა ორგანიზაციები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებით, გაადიდებენ თავიანთ აქტიურობას და ხელს შეუწყობენ შრომითს კოლექტივებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის საფუძველზე წარმოების ინტენსიფიკაციის დაჩქარებისათვის ბრძოლაში.

(საქინფორმი).

დავალება შესრულებულია

ბათუმი. (საკ. კორ). აჭარის სტატისტიკური სამმართველოს ცნობით, სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის იბრძვიან, ვადამდე სამი კვირით ადრე შეასრულეს ხორცის დამზადების 7 თვის გეგმა. ამ პერიოდში ავტონომიურ რესპუბლიკაში დამზადდა 1962 ტონა ხორცი, იანვარ-ივლისის გეგმის 108 პროცენტი. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ხელვაჩაურისა და ქედის რაიონების მეცხოველეებმა.

* * *

ბარდანინს რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა რესპუბლიკაში პირველმა გადაუხადეს შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის საგეგმო დავალება — 3.150 ტონის ნაცვლად დამზადებულია 3.300 ტონა.

აქ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გარდაბნის მებოსტნეობის, გამარჯვების მერძევეობა-მებოსტნეობის, ქაფანახრის მებოსტნეობის, თელეთის ექსპერიმენტული მეურნეობა-ტექნიკუმის, კრწანისის ექსპერიმენტული სასწავლო და ულიანოვკის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობების მხვნელ-მთესველებმა, სადაც პურეულის საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა 35-40 ცენტნერს აღემატება.

ორგანიზებულად მიმდინარეობს საკვების დამზადება. დღეისათვის უხეში საკვები დამზადებულია 61 ათასი ტონა, აქედან თივა — 27.300, რაც შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 4 ათასი ტონით მეტია. — ასევე მეტია მომარაგებული სენაჟი, ნაბჯა და სილოსი („კომ.“ კორ.).

ვენახების დათვალიერება

26-27 ივლისი ვენახების მოვლა-პატრონობის რესპუბლიკური დათვალიერების მესამე ეტაპია

დათვალიერების მიზანია გაუმჯობესდეს ვენახების მოვლა-პატრონობა, გამოვლინდეს, თუ სად როგორ ებრძვიან სარეველებს, მავნებელ-დაავადებებს, როგორ ხორციელდება სხვადასხვა ოპერაცია და, საერთოდ, მოსავლის მაქსიმალურად შენარჩუნების ღონისძიებები. საგანგებო ყურადღება მიექცევა იმ მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელების, სპეციალისტებისა და ბრიგადირების პერსონალურ პასუხისმგებლობას, რომელთა უნიათობის გამოც სათანადო აგროტექნიკურ დონეზე არ დამუშავდა ვენახების ფილოქსერაგამძლე ვაზის სადედეები და სანამყენეები.

პოლონელი კომუნისტების ამოცანები

გამოქვეყნდა ბროშურა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის X ყრილობისადმი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენების ტექსტით „პარტიის ამოცანები პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სოციალისტურ განვითარებასა და განმტკიცებაში“, რომელიც მიმდინარე წლის 29 ივნისს გაკეთდა ვარშავაში ვ. იარუზელსკის.

ბროშურა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ დაბეჭდა. (საკადესი).

თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის თ. ოზალის სსრ კავშირში ვიზიტის შესახებ

საბჭოთა მთავრობის მოწვევით თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი თ. ოზალი საბჭოთა კავშირში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვა მიმდინარე წლის ივლისის დამლევს.

მ. ს. გორბაჩოვმა მიიღო ჰ.-დ. გენშერი

სურათზე: შეხვედრის დროს.

საკადეს-საქინფორმის ტელეფოტო.

21 ივლისს მ. ს. გორბაჩოვმა კრემლში მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი ჰ.-დ. გენშერი, რომელმაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს გადასცა ფედერალური კანცლერის ჰ. კოლის წერილი.

განხილეს საერთაშორისო, უწინარეს ყოვლისა სრულიად ევროპის სიტუაციის საკითხთა ფართო წრე და ორმხრივი ურთიერთობა.

კეთილგანწყობილმა აზრთა გაზიარებამ, გულახდილმა დისკუსიამ დაადასტურა საერთო გაგება იმისა, რომ მსოფლიოში ვითარება კვლავ შემაშფოთებელია, ბირთვული იარაღის შესახებ მოლაპარაკებაზე ჯერჯერობით არ ხდება ძვრები, რომლებმაც შეიძლება უზრუნველყოს ომის საშიშროების შემცირება, რომ საჭიროა ნამდვილად კონსტრუქციული, შედეგიანი დიალოგი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, ხელშეკრულებების, უწინარეს ყოვლისა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღებისა და რაკეტასაწინააღმდეგო თავდაცვის შესახებ ხელშეკრულებების დაცვა, და რომ მომავალმა სრულიად ევროპის ფორუმმა და სხვა მოლაპარაკებამ ხელი უნდა შეუწყოს მყარი სახელმწიფოთაშორისო ურთიერთმოქმედებისა და თანამშრომლობის სტრუქტურის შექმნას.

საუბრის მონაწილეებმა დაადასტურეს, რომ მათი სახელმწიფოები ერთგულობენ მოსკოვის 1970 წლის ხელშეკრულებას და ჰელსინკის საბოლოო აქტს, რომლებიც საფუძვლად უდევს საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ურთიერთობას, და მონაწილეობენ სრულიად ევროპის პროცესში. მისი განგრძობა მოითხოვს თანაბარ ყურადღებას ყველა ასპექტისადმი: პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური, კულტურული, ჰუმანიტარული ასპექტებისადმი.

მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ იმ სიტუაციაში, რომელიც შეიქმნა მსოფლიოში, ევროპაში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა-სსრ კავშირის ორმხრივ ურთიერთობაში, ეს შეხვედრა, ჰ.-დ. გენშერის ვიზიტი სცილდება ჩვეულებრივ ფარგლებს. მსოფლიო ახლა გზის გასაყარზეა და ის, თუ საით წავა იგი, ბევრად არის დამოკიდებული ევროპის პოლიტიკურ პოზიციაზე.

მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა ისეთ სახელმწიფოთა ორმხრივი პასუხისმგებლობა „ევროპის სახლის“ მშენებლობაში, როგორიც არის სსრ კავშირი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, — ისტორიის გაკვეთილების, ევროპასა და მსოფლიოში მათი მდგომარეობისა და რეალური წონის გათვალისწინებით, რა თქმა უნდა, თავიანთი სამხედრო-პოლიტიკური კავშირებისა დ მი ერთგულების შენარჩუნების პირობით. ვაყენებთ რა წინა პლანზე ევროპელთა თანამშრომლობის საკითხს, ვითვალისწინებთ იმას, რომ ევროპაში შექმნილი პოლიტიკური და ტერიტორიული სტრუქტურის დარღვევა მხოლოდ ჭაოსს გამოიწვევს და გაიუარესებს ვითარებას. მაგრამ თუ დარჩება იმად, რაც არის, ევროპას შეუძლია შეიტანოს და კიდეც უნდა შეიტანოს თავისი წვლილი ახალი პოლიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებაში, საკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემათა გადაჭრაში, საერთო ვითარების გაჯანსაღებაში. ეს წვლილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან იქნება სხვადასხვა სისტემის სახელმწიფოთა ერთობლივი მეცადინეობის შეხამების ნაყოფი, დაეყრდნობა ევროპელთა უდიდეს პოლიტიკურ გამოცდილებას, ეკონომიკურ, მეცნიერულ-ტექნიკურ და სხვა შესაძლებლობებს.

მ. ს. გორბაჩოვმა ცნობად მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელთა მშვიდობისმოყვარული განცხადებები, და ამავე დროს აღნიშნა, რომ მის პოლიტიკაში ვლინდება არათანამიმდევრულობა. თანამედროვე მსოფლიოს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის როლზე პასუხისმგებლური შეხედულების სასარგებლო გამოთქვამები არ ეთანხმება ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის აგრესიული კურსისადმი, ამერიკის იმ „შუალედური“ ვარიანტისადმი პრაქტიკულ მხრდაჭერას, ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტების ნაწილის შენარჩუნებას რომ ითვალისწინებს, სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროგრამაში მონაწილეობას, განიარაღების იმ შესაძლებლობებისადმი პასიური დამოკიდებულებას, რომლებსაც სახვის შორს გამიზნული საბჭოთა ინიციატივები. თვით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ინტერესებს შეესაბამება ის, რომ ეწეოდეს აქტიურ პოლიტიკას განიარაღების საკითხებში და თუ მას პრაქტიკული ნაბიჯები მოჰყვება, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა სსრ კავშირის სანთი შეიძენს საიმედო პარტნორს, რომელიც ხელცარიელი არ იმოქმედებს.

საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი მისწრაფებების ყველაზე დამაჯერებელი დადასტურებაა მისი შინაგანი გარდაქმნების გეგმები, რომელთა მიზანია გამოავლინოს საბჭოთა საზოგადოების მთელი უდიდესი პოტენციალი. თანაც განვითარების ამ მეტად პერსპექტიულ ეტაპზე სსრ კავშირი მზად არის ითანამშრომლოს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან ეკონომიკურ სფეროშიც, მათ შორის გამოიყენოს ურთიერთმოქმედების ახალი ფორმები, რომლებიც შეიძლება ერთად განიხილონ. ამით განმტკიცდება პოლიტიკური დიალოგის, ურთიერთდაინტერესებისა და ნდობის მატერიალური ბაზა, უფრო წარმატებით განხორციელდ ე ბ ა მთელი ევროპისათვის სასარგებლო ცვლილებებული ურთიერთობის მშენებლობა.

შეხვედრას დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სსრ კავშირის ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ი. ა. კვიცინსკი, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის უფროსი გ. ბრაუნმიული, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ი. კასტლი. (საკადესი).

„მეცნიერების, ტექნიკისა და მშვიდობის“ საერთაშორისო სიმპოზიუმისა და მეცნიერ მუშაკთა მსოფლიო ფედერაციის XIV გენერალური ასამბლეის მონაწილეებს

მონაწილეებმა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, რომლებიც მოსკოვში შეიკრიბნენ „მეცნიერების, ტექნიკისა და მშვიდობის“ სიმპოზიუმსა და მეცნიერ მუშაკთა მსოფლიო ფედერაციის XIV გენერალურ ასამბლეაზე.

თქვენი სიმპოზიუმი და ასამბლეა მიმდინარეობს მსოფლიოსათვის ძნელ ხანაში. როგორ დაიწყებს კაცობრიობა მესამე ათასწლეულს, ბევრად იქნება დამოკიდებული არსებულ გლობალურ პრობლემათა გადაწყვეტაზე, რომელთა შორის ომისა და მშვიდობის საკითხები თვით ისტორიის მიმდინარეობამ საერთაშორისო ცხოვრების ცენტრში დააყენა.

შექმნილი საშიში ვითარება მოითხოვს გადაჭრით ჩავაძლიეროთ ბრძოლა ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის. გამალებული შეიარაღება, რომელიც ქმნის კონტროლს დაუქვემდებარებლობის საფრთხეს, არყევს სტაბილურობას, ძირს უთხრის საყოველთაო და ეროვნულ უშიშროებას, მთელი სიმწვავით აყენებს ცივილიზაციის გადარჩენის პრობლემას.

საერთაშორისო ვითარების ძირეული გაჯანსაღების, ბირთვული კატასტროფის საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნის ინტერესებისათვის სსრ კავშირმა გადადგა დიდი ნაბიჯები, რათა პოზიტიური გეზი, რომელიც დაისახა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ჟენევის შეხვედრაზე, განხორციელდეს კონკრეტული მოქმედებით. ჩვენი სამშვიდობო ინიციატივების მზანია საერთაშორისო უშიშროების კომპლექსური პროგრამის რეალიზაცია, რომელიც გამოხატავს მსოფლიო გაერთიანების საერთაშორისო ინტერესებს.

კაცობრიობის ბედისათვის, ქვეყნად მშვიდობისა და თვით სიცოცხლის შენარჩუნებისათვის მეცნიერთა განსაკუთრებული პასუხისმგებლობა არაერთგზის აღნიშნულა. მინდა კვლავ ხაზი გავუსვა, რომ ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, საჭიროა გამრავლდეს მეცნიერთა წვლილი საერთო მეცადინეობაში, რომელმაც კაცობრიობა უნდა დაიცვას ბირთვული ხანძრისაგან. რას მოხმარდება ადამიანის გონიერება — აღმშენებლობის დიადი ძალების გამოთავისუფლებას თუ ნგრევის ახალი, სულ უფრო საშიში საშუალებების შექმნას — ამ კითხვაზე პასუხი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მეცნიერების მოღვაწეებზე.

გამოჩენილი მეცნიერების ფ. ჟოლიო-კიურისა და ჯ. ბერნალის ინიციატივით შექმნილ მეცნიერ მუშაკთა მსოფლიო ფედერაციას არსებითი წვლილი შეაქვს მშვიდობისა და ურთიერთგაგების კეთილშობილური იდეალების დამკვიდრებისათვის ბრძოლაში. მან ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ მეცნიერების ინტელექტუალური პოტენციალი გამოიყენებოდეს მშვიდობის, პროგრესისა და განვითარების ინტერესებისათვის, კაცობრიობის წინაშე მდგომი გლობალური პრობლემების გადაჭრის მიზნით.

მეცნიერ მუშაკთა მსოფლიო ფედერაციის აქტიური ომსისაწინააღმდეგო პოზიცია, მისი მნიშვნელოვანი გამოკვლევები განიარაღების პრობლემებში ბ

ახლებური თვალსაწიერი

ახლებურად ვიმუშაოთ, ვიაზროვნოთ, უფრო აქტიურად ვიმოქმედოთ, სიტყვის ენერგია მოქმედების ენერგიად გარდავქმნათ — თითოეული ჩვენგანის წინაშე მდგარი ეს მოთხოვნები, პარტიის XXVII ყრილობის მიერ განსაზღვრული სამოქმედო ადამიანებისაგან განსაკუთრებულ ძალისხმევას, გამორჩეულ პასუხისმგებლობას მოითხოვს ყველა სფეროში, უბანზე, სადამღისაც კი თვალსაწიერი გაგვწვდება, რადგანაც ცნება გარდაქმნა მეტისმეტად ტევადი, უამრავწახნაგოვანია. ეს კი სავსებით ბუნებრივია, რადგან თავად ცხოვრებაა მრავალფეროვანი.

როგორ მიმდინარეობს ეს უმნიშვნელოვანესი და ძალზე რთული პროცესი, მოვლენა, რომელიც თავისებურად უნდა გაიაზროს თითოეულმა ადამიანმა — მაღალი რანგის ხელმძღვანელი იქნება იგი თუ რიგითი მუშაკაცი, ვინც უშუალოდ პროდუქციას ქმნის, — და რომელმაც თვისებრივი პოზიტიური ცვლილებები უნდა დაატყოს საერთო საქმეს.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი, რესურსების და სამუშაო დროის ეკონომია, პროდუქციის და საერთოდ ყოველნაირი შესრულებული სამუშაოს ხარისხი — აი პრობლემები, რომლებსაც გარდაქმნა უთუოდ უნდა შეეხოს. მაგრამ ყველაფერი ადამიანით იწყება, და, ამდენად, როდესაც გარდაქმნაზეა საუბარი, მხედველობიდან არ უნდა გამოვგრჩეს ფსიქოლოგიური ფაქტორი ფართო გაგებით. ამიტომ ჩვენი პირველი შეკითხვაც, დასმული გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებთან დღევანდელი მოსაუბრის, საქართველოს კომპარტიის თბილისის გლდანის რაიკომის პირველი მდივნის **ა. ბოცირიძისადმი,** აქედან გამომდინარეობს.

სიმართლის გაკვეთილები

—ყველა მოვლენას თითოეული ადამიანი თავისებურად აღიქვამს. ცნება გარდატეხის მნიშვნელობაც თითოეულმა მუშაკმა თავისებურად გაიგო. ერთი ანონიმი ავტორი, მაგალითად, გვწერს, დღეს ბევრს ლაპარაკობენ გარდატეხაზე, ჩვენთან კი ყველაფერი ძველებურად მდგომა. საინტერესოა თქვენი ხელმძღვანელი პარტიული მუშაკის აზრი იმის თაობაზე, თუ საქმიანობის ამ ეტაპზე რას მოითხოვს ცნება — მუშაობის თანამედროვე მოთხოვნილებისდაგვარად გარდაქმნა. ხომ არ იწყება იგი ადამიანის ფსიქიკიდან. ესე იგი მხოლოდ მუშაობის მეთოდები უნდა შევცვალოთ, თუ საერთოდ ბევრი ღირებულება გადავაფასოთ, სხვაგვარად ვმეჩოფოთ და გავანალიზოთ მოვლენები? ერთი სიტყვით, შევცვალოთ მოვლენათა ხედვის რაკურსი?

— გარდაქმნამ იმ გაგებით, როგორითაც იგი ყრილობაზე, აგრეთვე პარტიის მომდევნო დოკუმენტებში იყო ფორმულირებული და მასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა ჩვენ წინ ისეთი რთული ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და იდეოლოგიური ამოცანები დააყენა, რომელთა გადაწყვეტისათვის რაიონის მთელი პარტიული და სამეურნეო აქტივის ძალთა მაქსიმალური კონცენტრაციაა საჭირო.

მაინც რა არის მთავარი? უპირველესად ალბათ ის, თუ როგორ შევუხამთ, შეკურწყავთ ერთმანეთს ორიგინალურად ორი პროცესი — **გარდაქმნა,** რომელიც სერიოზულ, ღრმა მეცნიერულ მიდგომას მოითხოვს, მისი მეტნაკლებად მთავარი მიმართულებების გამოვლენა, როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური მოვლენებისადმი პრინციპულად ახალი მიდგომის გამომუშავება, საქმიანობის ახალი, ეფექტიანი ფორმების ძიება და მეორე — **დაჩქარება.** ნათელია, რომ ძირითადად ამაზეა დამოკიდებული ჩვენი

შემდეგ: ფსიქოლოგიური გარდაქმნა. რა დასამალია, და ხშირად, რიგ მოვლენებთან შეხებაში, ჩვენი შეხედულებების ძირფესვიანად გადასინჯვა გვიხდება. უარს ვამბობთ ბევრ უკვე თითქმის ჩვეად ქცეულ, ბიუროკრატიულ ნაკუწში მოქცეულ ტრადიციულ შაბლონზე და ა. შ. გადავსინჯეთ ჩვენი დამოკიდებულება სამუშაოს დაგეგმვის, და საერთოდ, მისი ორგანიზაციისადმი. ბრძოლა გამოვუცხადეთ ქაღალდების კარუსელს, წამოვწიეთ წინ კონკრეტული საქმე, ვგეგმავთ არა „საკითხებს“ და „ღონისძიებებს“, არამედ საბოლოო შედეგებს და ვეძებთ მათი მიღწევის ყველაზე ლოგიკურ გზებს. ამასთან დავიწყეთ საკუთარი თავიდან. რაიკომის აპარატის მუშაკებიდან...

აქ დროებით შეიწყვიტოთ რაიკომის პირველი მდივნის საუბარი და ჩავუთრთოთ რამდენიმე ინფორმაცია: ამ კითხვაზე თავისებური პასუხი გახლდათ ის ინფორმაციები, რომლებიც ამ დღეებში რაიკომის პირველ მდივანს წარუდგინეს აპარატის ყველა განყოფილებამ, აგრეთვე სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა და კომკავშირის რაიკომმა.

წინდაწინ ვიტყვი: ინფორმაციებმა ჩვენი ცხოვრების და საქმიანობის ყველა სფერო მოიცვა. ამიტომ საუბარი მრავალ მსგავს პრობლემას თუ მეორეხარისხოვან დეტალებს შეეხო, მაგრამ ერთი რამ საერთო იყო — ყოველგვარი ძიება, მუშაობის სტილის დახვეწა, ახალი ფორმების მონახვა კონკრეტული შედეგების გაუმჯობესებისაკენ არის მიმართული. სხვაგვარად: საქმიანობის ერთი ფორმა მეორეთი იცვლება არა იმიტომ, რომ ასე ვინმეს უფრო მომხიბლავად ეჩვენება, არამედ იმიტომ, რომ საქმეს ასე უხდება. სულ უმნიშვნელო დეტალი ავიღოთ მაგალითისათვის: ადგილებიდან სხვადასხვა სახის ინფორმაციის წერილობით მოწოდების ნაცვლად ახლა ტელეფონით რეკავენ და ეს არა იმიტომ, რომ ვისმე წერას ტელეფონის ყურმილის აღება ურჩევნია, არამედ იმიტომ, რომ ასე მეტი ოპერატიულობაა. ჩვენი საუკუნის მიწურულს ტემპი არსად შეყოვნებას უფლებას არ გვიტოვებს და ჩვენ დროისათვის ფეხის აწყობის გარდა სხვა არა დაგვრჩენია. თანაც ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ერთი შეხედვით არა არსებითი დეტალი (მოყვანილი მაგალითი) გარკვეულწილად დაზოგავს რესურსებს — დროისა, ქაღალდისა, ტრანსპორტისა. დიდი პატარისაგან შედგება, არსებითი დეტალებიც — წვრილმანებისაგან. ამიტომ ვამბობთ, გარდაქმნა ყველაფერს უნდა შეეხოსო.

უფრო არსებითი მაგალითი: პროპაგანდის და აგიტაციის განყოფილებამ რაიკომის ბიუროსათვის საკითხის მომზადების სისტემა შეცვალა. ახლა განყოფილების მუშაკები განსახილველი საკითხის შესწავლის პროცესში ადგილზე წყვეტენ ბევრ ისეთ პრობლემას, რომელთა მხოლოდ ადგილობრივი ძალებით მოგვარება ძნელი იყო, ან უბრალოდ ვერ აბჭენვდნენ აქამდე. მომზადებული საკითხებს ჯერ იქვე, პარტიული ბიუროს სხდომაზე ან კომუნისტთა ღია კრებაზე განიხილავენ (გამოცდილების გაზიარების მიზნით აქ სხვა პირველადი პარტორგანიზაციებიდანაც მოწვეულნენ კომუნისტებს), პირველი შეფასება საკითხს აქ მიეცემა, ხოლო შემდეგ უკვე — ბიუროზე. ამასთან, რასაკვირველია, საუბარი იქნება იმაზეც, რაც გზადაგზა გაკეთდა, მოგვარდა და იმაზეც, რაც გასაკეთებელია. ასე დიდწილად უკვე გადაწყვეტილი საქმის თაობაზე საუბარი ბიუროზე გაცილებით ნაკლებ დროს წაიღებს. თანაც, რაც მთავარია, სიტყვა და საქმე ერთმანეთს დაუახლოვდება.

იმავე მიზანს ემსახურება მეორე დეტალიც: რაიკომის ბიუროს მორიგი დადგენილების კონტროლიდან მოხსნამდე (დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ) აპარატის მუშაკები ჩადიან ადგილებზე, ხვდებიან ხალხს, ამოწმებენ ბოლომდე შესრულებულია თუ არა დადგენილების ყველა პუნქტი, კმაყოფილი არიან თუ არა ადამიანები ამით და ა. შ.

ერთი სიტყვით, რაიკომის ყველა განყოფილებას შემუშავებული აქვს ხელმძღვანელობის, მართვის გარდაქმნის საკუთარი გეგმა, რომლითაც ყოველდღიურ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ უკვე.

— და საერთოდ პარტიული აპარატის სტილის სრულყოფისათვის ბევრს ვზრუნავთ, — განაგრძობს რაიკომის პირველი მდივანი. — ისიც ვიფიქრეთ, რომ შეიძლება გამოგვრჩეს რაიმე, შესაძლოა ყველაფერი ვერ შევამჩნიოთ, ამიტომ ვფიქრობთ, მოვიწვიოთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წამყვანი სპეციალისტები, რომლებიც ჩვენს გვერდით იმუშავებენ, გააანალიზებენ თითოეული მუშაკის — მდივნებიდან ინსტრუქტორამდე — საქმიანობას, შეაღგენენ ქრონომეტრაჟს და მოგვცემენ რეკომენდაციებს მართვის სისტემის სრულყოფისათვის. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი საქმიანობის სტილის დახვეწაზე პირადაპირ არის დამოკიდებული როგორც გარდაქმნის, ასევე დაჩქარების პროცესი რაიონში. აქ მინდა ხაზი გავუსვა: მე ყურადღებას ვამახვილებ ისეთ მაგალითებზე, სადაც ცვლილებები საჩინოა, გარდაქმნა ხომ გადაკეთებას, გაუმჯობესებას, გაუკეთესებას გულისხმობს (თუკი რაიმე ისე ვერ კეთდება, როგორც საჭიროა) და არა თავიდან დაწყებას. თუ აქამდე არაფერი გიკეთებია, და ახლა აპირებ ხელის გამოღებას, გარდაქმნა კი არა დაწყება გამოგივა.

როგორც ხედავთ, მუშაობის მთელი სიმძიმე ადგილებზე, პირველადს პარტორგანიზაციებზეა მოწეული ეკონომიკური ბერკეტების, პირველი შეფასება საკითხს აქ მიეცემა, ხოლო შემდეგ უკვე — ბიუროზე. ამასთან, რასაკვირველია, საუბარი იქნება იმაზეც, რაც გზადაგზა გაკეთდა, მოგვარდა და იმაზეც, რაც გასაკეთებელია. ასე დიდწილად უკვე გადაწყვეტილი საქმის თაობაზე საუბარი ბიუროზე გაცილებით ნაკლებ დროს წაიღებს. თანაც, რაც მთავარია, სიტყვა და საქმე ერთმანეთს დაუახლოვდება.

იმავე მიზანს ემსახურება მეორე დეტალიც: რაიკომის ბიუროს მორიგი დადგენილების კონტროლიდან მოხსნამდე (დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ) აპარატის მუშაკები ჩადიან ადგილებზე, ხვდებიან ხალხს, ამოწმებენ ბოლომდე შესრულებულია თუ არა დადგენილების ყველა პუნქტი, კმაყოფილი არიან თუ არა ადამიანები ამით და ა. შ.

ერთი სიტყვით, რაიკომის ყველა განყოფილებას შემუშავებული აქვს ხელმძღვანელობის, მართვის გარდაქმნის საკუთარი გეგმა, რომლითაც ყოველდღიურ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ უკვე.

— და საერთოდ პარტიული აპარატის სტილის სრულყოფისათვის ბევრს ვზრუნავთ, — განაგრძობს რაიკომის პირველი მდივანი. — ისიც ვიფიქრეთ, **წინსვლას. უნდა აღინიშნოს, რომ ინერციის ძალა დიდია. იმას, რაც წლების მანძილზე დომინირებდა, ეგრე იოლად ვერ მოერევი. თქვენი აზრით, რა არის საჭირო იმისათვის, რომ არ გაგვიჭირდეს ამ მავნე ტენდენციის დაძლევა და კონკრეტულად რა უკუგებას მივიღებთ მუშაობის ასე გარდაქმნით?**

— ზოგჯერ მავანთათვის ძალზე ხელსაყრელია ისეთი პოზა მიიღონ, თითქოს არ იციან, ან ვერ ამჩნევიდნენ იმას, რაც არ სურთ. იმის ნაცვლად, რომ ყველა გზა მოსინჯო საქმის ბოლომდე და როგორც საჭიროა ისე





სასახელო შედეგებს მიაღწიეს მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის 6 თვეში აბაშის რაიონის სოფელ პირველი მაისის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის მუშაკებმა.

აქაურმა მეცხოველეებმა წლიური გეგმით 334 ტონა რძე უნდა აწარმოონ. წლის პირველ ნახევარში მიღებულია 174,2 ტონა რძე. თითოეულ ფურზე საგეგმო 2900 კილოგრამის ნაცვლად, წლის პირველ ნახევარში უკვე მიიღეს 1,461 კილოგრამი. განსაკუთრებით კარგად მუშაობს აგრაფინა დონდუა. მოწინავე მეცხოველეს შრომა დაუფასდა და დიდი პატივით სარგებლობს როგორც კოლმეურნეობაში, ისევე რაიონშიც. აგრაფინა 40 ხბოს უვლის, მისი შრომა ყველასათვის მისაბაძი მაგალითია.

წელს აქაურმა საკვებმომპოვებლებმა 800 ტონა სილოსი უნდა დამზადონ. უხვად მოიმარაგებენ სხვა საკვებსაც და ზამთრის პერიოდშიც შეინარჩუნებენ მაღალ წველადობას.

პირველმაისელ მეცხოველეებს გადაწყვეტილი აქვთ ახალი ხუთწლედის პირველი წელიწადი კარგი შედეგებით დაამთავრონ და წარმატებით გაანაღდონ როგორც წარმოების, ისე სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმები.

სურათებზე: კოლმეურნეობის მეხბორე აგრაფინა დონდუა; მიმდინარეობს სილოსის დამზადება.

ე. ნადარეიშვილის ფოტო.

შეხვედრა ამერიკელ ჟურნალისტებთან

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში გაიმართა ამერიკის გაზეთების რედაქტორთა საზოგადოების დელეგაციასთან შეხვედრა.

სტუმრებს მიესალმა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, რომელმაც გააცნო მათ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მეთორმეტე ხუთწლედის გეგმები, უამბო, თუ რა როლი უნდა შეასრულონ მათს რეალიზაციაში ხალხის რჩეულებმა.

საუბრის დროს ხაზგასმით აღინიშნა მშვიდობის განმტკიცებასა და განიარაღებაში საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის მნიშვნელობა. ამასთან დაკავშირებით დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ პრესის წარმომადგენლებსაც. გამალებული ბირთვული შეიარაღების შეწყვეტის მიმართულებით საბჭოთა კავშირის კონსტრუქციული ნაბიჯების ობიექტურ ანალიზს ბევრად შეუძლია შეუწყოს ხელი ორი ქვეყნის ხალხების ურთიერთობის გაუმჯობესებას, არსებული უნდობლობის აღმოფხვრას.

თბილისში ყოფნის დღეებში ამერიკის გაზეთების რედაქტორთა საზოგადოების დელეგაცია ეწვია ქალაქის საწარმოებს, დღესასწაულობათა სასახლეს, საქართველოს ხელოვნების მუზეუმს, მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონს, იმოგზაურა მცხეთაში. გაიმართა შეხვედრები საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოტოსინთეზის ლაბორატორიაში, სტუმრები შეხვდნენ და ესაუბრნენ რესპუბლიკის ჟურნალისტებს.

ურთიერთგაგება—ობიექტური ინფორმაციის გზით

ამერიკელი ჟურნალისტი ლორენ გილიონე არ აზვიადებს თავის შესაძლებლობებს: „ჩვენ დიპლომატები და პოლიტიკური მოღვაწენი არა ვართ, რომელთაც ხელეწიფებათ მსოფლიოს შეცვლა, — თქვა მან. — მაგრამ დარწმუნებული ვარ, ობიექტურ, ცოდნით გამდიდრებულ კალამს ჩვენს ხელში ძალუძს გააუმჯობესოს სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა ურთიერთგაგება“.

ლორენ გილიონე სსრ კავშირში უკვე მესამედ ჩამოვიდა. აქედან იგი ხელმძღვანელობს ამერიკის ჟურნალისტების ეცნობოდნენ ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებას. მათ დაათვალიერეს თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობანი, შეხვდნენ საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველ მდივანს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს ე. შენგელაიას, ნახეს მისი ფილმი „ცისფერი მთები“. როგორც ლორენ გილიონემ თქვა, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ მიმართული თავისი გულახდილი სატირით ამ ფილმმა დელეგაციის წევრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

— ჩემი კოლეგების უმრავლესობა პირველად არის თქვენს ქვეყანაში, — თქვა ლორენ გილიონემ. — მათთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო შეეტყო, რომ საბჭოთა ადამიანებს გულახდილად შეუძლიათ გამოთქვან თავიანთი თვალსაზრისი.

— შინ დაბრუნებისთანავე, — თქვა ბოლოს ლორენ გილიონემ, — შევეცდები თანამემამულეებს გავაცნო საბჭოური ცხოვრების სრული სურათი. ეს იქნება საუბარი არა მარტო პოლიტიკისა და ეკონომიკის შესახებ, არამედ იმაზეც, თუ როგორ იხდიან თქვენში ქორწილებს, რანაირი შეგრძნებები გაუჩნდება ადამიანს, როცა იგი უცნობ ქალაქში დილაობით ძუნძულით დარბის. ყოველივე ამის შესახებ დავწერ, რათა ამერიკელმა მკითხველმა გაიგოს: ჩვენი ქვეყნების პოლიტიკური უთანხმოების მიუხედავად ამ ქვეყნებში მცხოვრებ ადამიანებს ერთნაირი საზრუნავი აქვთ — ოჯახი, ბავშვები და მომავალი.

(საინფორმ).

ვპარტიული ცხოვრებიდან:
ფერილები პირველადი ორგანიზაციებიდან

სამი წლის წინათ საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიონული ორგანიზაციის კონფერენციაზე მკაცრად, მაგრამ სამართლიანად გაკრიტიკეს ჩვენი შრომითი კოლექტივის საქმიანობა. უკვე მომდევნო კონფერენციაზე კი, გასული წლის ბოლოს ვამაყობ, ბევრი გულთბილი სიტყვა თქვა ზემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის შრომელთა მისამართით. ეს იმის შედეგია, რომ მეურნეობის 110-კაციანმა პარტიულმა ორგანიზაციამ და დირექციამ ღრმად, საფუძვლიანად გაიაზრეს გამოთქმული საქმიანი კრიტიკა, საჭირო დასკვნები გამოიტანეს, გარდაქმნეს მუშაობა და ამ ახალი ხუთწლედის დასაწყისში ურიგო სამეურნეო მაჩვენებლებით როდი მოვედით: ყველაზე დამკვრელური უბანზე — საზოგადოებრივ მეცხოველეობაში დიდი გადაჭარბებით შესრულდა როგორც წარმოების, ისე სახელმწიფო დამზადების გეგმები და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები.

ჩვენი მეურნეობის მეცხვარეთა წარმატებები დიდად მახარებს. თუ ჩვენმა მეცხვარეებმა ორი წლის წინათ მხოლოდ ბატკნის მიღების გეგმა გაანაღდეს, მეთერთმეტე ხუთწლედის ბოლო წელს გადაჭარბებით შეასრულეს ბატკნის, მატყლის, ყველის მიღების გეგმები. შესაბამისად, ნორმამდე შემცირდა პირადი ცხვრის სულადობა, სახელმწიფოს ჩაბარდა 1.800 სული ცხვარი და ამით მეთორმეტე ხუთწლედის პირველ წელს მყარი საფუძველი შეექმნა.

კარგი შედეგები გვაქვს მიმდინარე წლის 6 თვეში: რძის სახელმწიფოზე მიყიდვის გეგმა შესრულებულია 100,6 პროცენტით, ხორცის — 118,5, ნამატის მიღების გეგმა 155 პროცენტით.

როგორც ხედავთ, წარმატებები არის, მაგრამ გადაულახავი პრობლემებიც ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. თუნდაც ის, მაგალითად, რომ გაზრდილია მსხვილფეხა პირუტყვის, ცხვრის ხორცისა და რძის ღირებულება. ეს პრობლემა ზემოალვანელ კომუნისტებს ძალიან გვაღელვებს და ვფიქრობ ამ საკითხზე ღირს სერიოზული საუბარი. როდესაც პროდუქციის გაძვირების მიზეზებს ვაანალიზებთ, გამოგვაქვს დასკვნები, რომელთა შესახებაც მინდა გულახდილად ვთქვა: საზაფხულო საძოვრებზე თუშეთის ცხვრისათვის საჭირო ყველა სახის ტვირთი გადაგვაფქვს ვერტმფრინავით, იქ წარმოებული პროდუქციაც (ყველი, მატყლი) კვლავ ვერტმფრინავით გადმოგვაქვს, რაც დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამიტომაც კვლავ და კვლავ დღის წესრიგში დგება საავტომობილო გზების გაფართოების საკითხი, რასაც თუშეთში უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება.

საქონელიც ზამთარში თუშეთში გადაგვყავს. მარტო გზაში იქით და აქეთ საჭიროა სულ ცოტა 10-12 დღე, ამ დროს იკარგება დაახლოებით 10 ტონა რძე. მთაში მზადდება ყველი, რომლის გადმოტანაც საჰაერო ტრანსპორტით ვეიხდება, თანაც 100 კილოგრამი რძისაგან ვიღებთ 10 კილოგრამ ყველს, რომლის ღირებულებაც 20 მანეთია, მაშინ როცა სახელმწიფოსათვის ჩაბარებული 100 კილოგრამი რძის ღირებულება მეორე ხარისხის შემთხვევაშიც კი 38 მანეთია, ვფიქრობ, აღნიშნული კომენტარს არ საჭიროებს.

ჩვენ კი აქვე, პანკისის ხეობიდან 10 კილომეტრის დაშორებით ტბათანისა და ხუროს გორის ალპურ 1000-ჰექტარიან ფართობს ვერ ვიყენებთ უგზოობის გამო. კარგი იქნება ამ დიდი მეცვენახეობასა და მეხილეობაში ბევრი არსებითი ნაკლია. ეს უპირველესად იმის შედეგია, რომ არც პარტიულ კომიტეტს, არც ბრიგადების პარტიულ ორგანიზაციებს საფუძვლიანად არ გაგვიანალიზებია ჩამორჩენის მიზეზები, პრობლემა კომპლექსურად არ შეგვისწავლია, არ დაგვიბავს ეფექტიანი ღონისძიებანი მათს აღმოსაფხვრელად. ავიღოთ თუნაც ის ფაქტი, რომ წლების განმავლობაში პარტიულ კრებებზე ერთთავად ვლაპარაკობთ კოლმეურნეობის ტერიტორიაზე არსებული ხეხილის დაფრაინინებელი ჯიშის ამოძირკვის შესახებ... მაგრამ არც პარტიულ კომიტეტს, არც კოლმეურნეობის გამგეობას ვითარების გამოსწორებისათვის რადიკალური ღონისძიებების განხორციელების გამბედაობა არ ეყო. არადა, აი უკვე თხუთმეტ წელზე მეტია უქმად იყო ეს ფართობი, სხვა კულტურებისათვის საუკეთესო სავარაუდები.

ჯერ კიდევ ვერ დავაღწიეთ ნაკლოვანებებს თავი ჩვენი ცალკეული ბრიგადების პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში. რა დასამალია და, ზოგჯერ კრებები მოვალეობის მოხდის მაზნით იმართება, დადგენილებებიც შესაბამისად მიიღება — არაფრისმთქმელი და ზოგადი. უფრო მეტი დახმარება გვჭირდება რაიკომის მუშაკებისაგანაც, რომელთა მოსცლის მიზნები პარტიულ ორგანიზაციაში უპირველესად დაბმარება უნდა იყოს, და არა სამეურნეო მაჩვენებლების შესახებ ცნობების შეგროვება, როგორც ეს უმეტესწილად ხდება ხოლმე.

პრობლემებს ახლა სხვა რაკურსითაც უნდა შევხედოთ. ბევრჯერ ეთხოვა შესაბამის რესპუბლიკურ უწყებებს (ეს დადგენილებაშიც ჩაიწერა) სოფელ ყუმურში სატელევიზორო რეტრანსლატორის შენებლობა, მაგრამ თხოვნა თხოვნად დარჩა, რაც, ბუნებრივია, იქაური მშრომელების გულისტკივილს იწვევს. კომუნისტთა კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. მხოლოდ ორმხრივი მოღვაწეობით მივაღწევთ მიზანს, ჯანსაღი, ძლიერი უკუკავშირია ჩვენი დიდი ამოცანების დაძლევის უმტკიცესი გარანტია.

ა. ხელაძე,
ვანის რაიონის სოფელ ტობანიერის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი.

ასე გგეგმავთ სამოქმედოს

რეზერვის ამოქმედებაში დაგვეხმარონ შესაბამისი რესპუბლიკური უწყებები, რათა 10 კილომეტრ მანძილზე გავიყვანოთ გზა და ელექტროენერგია, რითაც ჩვენ მოგვეცემა საშუალება ვაწარმოოთ მეტი რძე ნაკლები დანახარჯებით, იქვე შევქმნათ პირუტყვის სასუქებელი მოედნები, სადაც საკვების მცირე დანახარჯებით მივაღწევთ მეტ უკუგებას. ამასთან ტბათანის საუკეთესო ჰაერ და მისი ბუნებრივი პირობები ხომ დიდი ხანია ჩვენმა ხალხმა დასვენების კერად აქცია.

პარტიისა და მთავრობის დიდი ზრუნვის შედეგია ჩვენი თუშეთის საავტომობილო გზა, რომელიც მთასა და ბარს ზაფხულის პერიოდში აკავშირებს, წლის დანარჩენ პერიოდში კი იქ, მთის სოფლებში მხოლოდ საჰაერო მიმოსვლაა შესაძლებელი. ამას ხშირად მოკლებულნი ვართ იმის გამო, რომ რაიონში არ არის თანამედროვე ტიპის აეროპორტი, რაც ხშირად არარეგულარული ფრენის საბაბი ხდება.

ახლა მოკლედ მინდა შევეხო ჩვენი მეურნეობის მეღორეობის დარგს, სადაც მე უშუალოდ ვარ დასაქმებული. ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ მეურნეობაში წარმატებით სრულდება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების და დამზადების გეგმები, რაშიც თავისი წვლილი შეაქვს ჩემს ბრიგადას.

ბრიგადას მეთერთმეტე ხუთწლედში უნდა ეწარმოებინა 3.490 ცენტნერი ღორის ხორცი. ხუთწლიანი გეგმის შესრულება ჩვენ ჯერ კიდევ 1984 წლის 7 ნოემბრისათვის ეუპატაკეთ ქვეყანას. მიღებული გვყავს 9775 სული გოჯი, ნაცვლად 6910 სულისა, ვაწარმოეთ 6411 ცენტნერი ხორცი, ანუ ერთ ჭუბზე 1600 კილოგრამი, რომლის საკვების დანახარჯები არ აღემატება 5.7 ერთეულს; ცენტნერი ხორცის თვითღირებულება 45 მანეთით გავიიაფეთ. ხუთწლედში ბრიგადამ მეურნეობას 400 ათას მანეთამდე მოგება მისცა.

„ამოცანა, რომელიც უმოკლეს ვადაში უნდა გადაეწყვიტოთ, არის სურსათით ქვეყნის სრული უზრუნველყოფა“ — ითქვა სკკპ XXVII ყრილობაზე. აი ჩვენი, სოფლის მეურნეობის თითოეული მუშაკის საბრძოლო ამოცანა, რისთვისაც ყველაფერი უნდა ვიღონოთ. ამისათვის საკმარისი არ არის ერთი თუ ორი კოლექტივი მუშაობდეს გამორჩეულად, მოწინავეს მხარი უნდა უსწოროს ყველამ, თითოეულმა რგოლმა. მხოლოდ ამ გზით მივალთ საბჭოლო წარმატებამდე. ამისათვის კი უდიდესი ორგანიზატორული მუშაობაა საჭირო.

ნ. პეტრიაშვილი,
ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადის ბრიგადირი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი.

**ბ ა ნ ო ნ ი ს ბ ე ჭ დ ვ ი ს ა ნ ა ბ ა ნ ი ს ა ნ ა ბ ა ნ ი ს ა ნ ა ბ ა ნ

ᲒᲖᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲣᲙᲔᲢᲝᲗ ᲣᲨᲠᲝᲛᲔᲚ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲡ

ᲩᲕᲔᲜᲘ, ᲠᲘᲒᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ

მწერალი და ცხოვრება

ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲐᲜᲘ ᲒᲐᲠᲯᲘᲡ ᲛᲪᲕᲐᲠᲘ

ᲓᲦᲔᲡ რომ უშრომელ შემოსავალს ვუწოდებთ, ამას ეძახდა ერთველი კაცი ნაარმს და აუდად მოიხსენებდა ყველაფერ ნაარმს. და არა მარტო ქართველი კაცი ძრახავდა ნაარმს, არამედ ყველა ეროვნების პატიოსანი, გამოჯი მუშაკი.

ეს საკითხი საუკუნეების განმავლობაში მოსდევს დრო-ჟამს ეტ-ნაკლები სიმწვავით და მისგან არც ჩვენი დღეებია დაზოგული. უფრო მეტიც, ასე მწვავედ გი იშვიათად წარმოჩენილა. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, თავისებური წაყრუების ვითარებაში თანდათან გაშალა ფრთები და იმძლავრა უშრომელმა შემოსავალმა, რომელმაც, გულახდილად რომ ვთქვათ, შეეტია პატიოსანი შრომის ღირსებას.

სწორედ ამიტომ გახდა საჭირო ამაზე სერიოზული სახელმწიფოებრივი დაფიქრება და ბრძოლისათვის კონკრეტული მიზნის დასახვა, რაც გამოიხატა ამით, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ორიენტაციათა შესახებ, ხოლო ჩვენი ქვეყნის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოაქვეყნა შესაბამისი ბრძანებულება.

ეს ამბავი ერთგანზომილებიანი როდია, იგი მრავალ წახნაგს შეიცავს და ჩვენც გვმართებს ღრმად ჩავფიქრდეთ.

რა არის უშრომელი შემოსავალი? როცა ადამიანს კანონიერად ეკუთვნის რაიმე, მას კი ამისათვის ქრთამს გამოსძალავენ, ან როცა ადამინი მხოლოდ იმისათვის გართმევს ფულს, რომ ვთქვათ, რეკომენდაცია გაგიწია, ან როცა ზომა-წონაში გატყუებს და ზედმეტ ფულს გართმევს, როცა სტუდენტს ნიშნს მაშინ უწერენ, მატრიკულაში ფულს რომ ჩადებს და სხვ.

ხოლო ამგვარი უკუღმართი ამბები, როგორც დადგენილებაშია აღნიშნული, ხდება იმიტომ, რომ „სამსახურებრივი მდგომარეობის ანგარებითი მიზნით გამოყენების „გზას ხშირად ადგებიან თანამდებობის პირები“.

მწარე სამართლია მაგრამ გულახდილობის ატმოსფერო გვავალებს, აშკარად ვთქვათ ეს მწარე სიმართლე, რადგან თუ რაიმე სენისგან განკურნება გვინდა, მწარე წამლის დალევასაც არ უნდა მოვერიდოთ, ასეთია ჩვენი ცხოვრების დიალექტიკა. არ უნდა მოვერიდოთ, ასეთია გულახდილობა და სიმართლე, სიმართლე და გულახდილობა გახდა ჩვენი ცხოვრების დევიტა.

განა დასაგმობი არ არის, როცა მავანი და მავანი მისთვის მინდობილი პასუხსაგები თანამდებობის სკამს ძირითადად პირადი გამორჩენისთვის იყენებს, თავს ქვეყნის კეთილდღეობისათვის თავდადებულ, ანგელოზისფრთიან წმინდანად ასაღებს, სულში კი უკანონოდ ფულების მომხვეჭელი ვიგინდარა უზის.

ერთ მომხვეჭელს დასტებად დაწყობილი ფულის მთელი კარადა გაუცალეს შინ და... არც გაუბედიათ, მალე ისევ შეაესო. როგორ ფიქრობთ, საკუთარი ნაოფლართთ, საკუთარი შრომაგარჯით იყო ფულის ეს დასტები შინ მიტანილი? პატიოსნად მშრომელ კაცს თუნდაც თუმანი დაეკარგოს, რამდენ დღეს ემახსოვრება ეს! უშრომელი შემოსავლით გამდიდრება-გაფუფუნება აღორკვს ხოლმე ადამიანს.

ზოგჯერ, ვინც სამართალს უნდა იცავდეს, ებრძოდეს უშრომელ შემოსავალს, ადამიანის გაღორება-გაზუალებს, თვითონაც მექრთამეა, ქორვაჭარს, კომბინატორს თუ მექრთამეს სასჯელისაგან ათავისუფლებს სულ ან უმსუბუქებს სასჯელს ქრთამის აღებით.

ეს, მოხდა ავტოავარია. ეგრეთ წოდებულ „ხალტურაზე“ მომავალმა ძძღოლმა მაღრიბის საგზური რომ აქვს გამოწერილი, მაშრიყის გზაზე დაქრის, ერთი კაცი სიცოცხლეს გამოასალმა, მეორე კი ხრამში გადააგდო და დაახეიბრა. ამ ავარიისთვის, წესით და რიგით, ეს მძღოლი ცხრა წლის თავისუფლების აღკვეთით უნდა დაისაჯოს, მას კი მხოლოდ შვიდ წელიწადს უსჯიან. რატომ შერბილდა დანაშაულის სიხლაური? მცოდნე პირი დაზარალებულს ეუბნება, დამნაშავეს ეს ორი წელი „ხელის ჭუჭყმა“ ჩამოაკლოო. სამართალდამდგენი კანონის თამაშს თავისებურად იყენებს ქრთამოვ ასაღებად ისე, რომ ვერავინ შეედავოს.

ზოგჯერ, ვინც სამართალს უნდა იცავდეს, ებრძოდეს უშრომელ შემოსავალს, ადამიანის გაღორება-გაზუალებს, თვითონაც მექრთამეა, ქორვაჭარს, კომბინატორს თუ მექრთამეს სასჯელისაგან ათავისუფლებს სულ ან უმსუბუქებს სასჯელს ქრთამის აღებით.

ეს ანეკდოტი არ გეგონოთ, ნამდვილი ამბავია, ოღონდ ახლა ჩემი უბის წიგნაკიდან ამოვიწერე, როგორც ტიპური ამბავი.

აი, ვთქვათ, ინტელიგენტმა კაცმა მშობლიურ სოფელში დააპირე ინდივიდუალურად სახლის აშენება და მიიღეს საყოფაცხოვრებო მომსახურების რაიონულ სამმართველოს. სამმართველოს წლიური გეგმა აქვს, ჩაგსვამს იმ გეგმაში, მაგრამ... მერე იწყება დავიდარაბა და ტყუილების კორიანტელი, წლობით ელოდები მშენებლობის დაწყებას. რატომ? სამმართველოს ხომ გეგმა აქვს შესასრულებელი? მაგ, რატომ გიჭიანურებენ სახლის მშენებლობის დაწყებას? მიზანი ერთია, შენგან „ხელის ჭუჭყს“ ელოდებიან. თუ მიართმევ და ეცოტავებათ, ისევ გაგიჭიანურებენ მშენებლობას და თუ დაიწყეს, ცდილობენ, ყოველ ნაბიჯზე მოგატყუონ, ხან რას იმიზეზებენ და ხან რას. მიზანი აქაც ერთია: რაც შეიძლება მეტი თანხის გამოძალვა, ქვითარში რომ არ ჩაიწერება.

ასეც ხდება: სამომხმარებლო საქონელს თუ ბინის საშენ მასალას, რომელიც ლიმიტით კარგა ხანია გეკუთვნის და ოფიციალური ქვითრით გამოწერილიც გაქვს, არ გაძლევენ დროულად, გიმალავენ, დღეხვალეობით გიყოლიებენ, რომ ზედმეტი თანხა დაგცანცლონ, ან იმ გამოწერილი მასალის ნაწილი ისე დაიტოვონ, მთლიანად მიღებაზე მოგაწერინონ ხელი.

რატომ არის ასე ხშირად, რაც ადამიანებს პრაქტიკულად სჭირდებათ, არ იშოვება, დიოგენის ფარნითაა საძებარი, ხოლო რაც არ სჭირდებათ, თაროებს ამტვრევს ხანგრძლივი გაუსაღებლობით.

რატომ იყიდება ამა თუ იმ საწყობის გამგის ადგილი? ეს ძნელი ამოსახსნელი ამოცანა არ არის, უკვე ბავშვმაც კი იცის რატომაც: რომ ესა თუ ის საქონელი დახლზე გამოუჩენლად საწყობშივე გაიყიდოს ზედმეტ ფასად, ზოგჯერ მამასისხლადაც.

საჭირო ხარისხიანი საქონლის დეფიციტი ხელს უწყობს ქორვაჭართა აღზევებას, ბაგრამ ქორვაჭართა ხელის დაცლას კი ხელს უწყობენ უშრომელი ფულით გამდიდრებულ-გაყოყოჩებული საქმოსნები. ისინი ფულს, რომლის მოსახვეჭადაც შრომა-გარჯის ოფლი არ დაუღვრიათ, დაღლილ იმეტებენ, ჰაიჰარად ფანტავენ და ქორვაჭრებიც ასეთ ადამიანებს ეტანებიან.

მე ქორვაჭრებთან არაფერს ვყიდულობ და ხშირად მითქვამს კიდეც: თუ გინდათ ქორვაჭრობა მოისპოს, სპეკულანტისაგან ნურაფერს შეიძენთ-მეთქი. მაგრამ რა ქნას კაცმა, განსაკუთრებით ახალგზრდამ, როცა ფრიად გაიზარდა ჩაცმა-დახურვის გემოვნება, დაბლზე კი ხარახურა საქონელი ყრია ხოლმე.

ერთი თხისკენ და მეორე მგლისკენო. თუ სამამულო წარმოება ხალხს მაღალხარისხოვანი საქონლის მიწოდებით დააკმაყოფილებს, თანაც იმდენით, რამდენიც პრაქტიკულად სჭირდება მას, ქორვაჭრებთან რაიმეს საყიდლად რატომღა წავა ვინმე? ამიტომაც, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაუჯობესდეს სამამულო საქონელწარმოების ხარისხი, სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხი.

ცხოვრებაში არის მოჩვენებითი საქმიანობა და ნამდვილი საქმე, ასე ვთქვათ, არავისთვის საჭირო და „ყველასათვის საჭირო. ახლა, დასამალი რაა, ბევრგან შეიმჩნევა მოჩვენებითი საქმიანობა, ნამდვილი საქმე კი ცოტაა. შენი გაკეთებული საქმე თუ არავის სჭირდება, ესე იგი, არ არის ნამდვილი საქმე.

არაშრომით შემოსავლად მიმაჩნია მე ისიც, როცა ამა თუ იმ დაწესებულებაში გაბერილია შტატები და მოსამსახურეთა უმრავლესობა უსაქმოდ ზის და ან ბუზებს ითვლის, ან ქსოვს, ან მხოლოდ პირადოჯახური საქმეებით არის დაკავებული. არაშრომითი შემოსავალია ისიც, როცა ერთი კაცის გასაკეთებელ პატარა საქმეს ათი და ოცი კაცი აკეთებს, ცხრამეტი კაცი უსაქმეოობისთვის სრულად რომ იღებს ჯამაგირს სახელმწიფო ჯიბიდან.

აი, პატარა სამწვადე გზაჯვარედინთან. აქ ყოველთვის ხალხმრავლობაა, ერთ დღეს ასი კაცი მაინც ზლის სუფრას და... მიმტანი თითოეულ კაცზე ზედმეტად ანგარიშობს (ეს უკვე დაუწერელი წესია) თუმანს. ესე იგი, მიმტანი დღეში ათასამეთოთაანია. იგი, რა თქმა უნდა, ამ თანხას სხვებსაც უნაწილებს — „ხაზეინებს“, მაგრამ მესამედიც რომ დარჩეს თვითონ ცოტაა სამასი მანეთი! ეს ხომ მეცნიერი კაცის თვიური ხელფასია, ინტელიგენტი კაცის გასამრჯელო! თანაც, მე შენ გეტყვი, მიმტანის მოხვეჭილ თანხას რამე ექვითება.

და ის ფეხის წვერებზე მოცეკვეცილე მიმტანი ხშირად ქედმაღლურად უყურებს ინტელიგენტ, ხელფასს შეჩერებულ კაცს, ალბათ გულში დასცინის კიდეც — მათხოვარიაო.

ამის ბრალია, მიმტანის თუ მებუფეტის ადგილი რომ იყიდება.

ზედმეტის მიცემა თუ არ გინდა, შენ ისადილე, სამწვადეში ნუ შეხვალო, მესმის მაკინის ქირქილი. იმ მოქირქილის პასუხად ვამბობ: ზოგჯერ სამწვადეშიც უნდა შევიდეს ადამიანი, სალობიში, სახინკლეში და რესტორანშიც, მაგრამ იმისაფვის კი არა, გაატყაონ.

ხდება ხოლმე, შევიდეთ, ზედმეტი რატომ გვიანგარიშეო, და იმის მაგივრად რომ ბოდიში მოგვიხადონ, გვლანძღავენ: თუ მათხოვარი იყავი, აქ რატომ შემოხვედი, ხიდის ყურთან დამდგარიყავი სამოწყალოდ ხელგაშვერილიო. არადა, თვითონ არის მათხოვარიც, წამგლეჯიც და უარესიც.

ხშირად გკითხულობთ წერილებს გაზეთში, ვინ აძვირებს ბაზარსო. ძირითადად ქორვაჭრებს და თვითონ ბაზრის მომსახურე პერსონალს აბრალებენ ამას. ჩემი აზრით კი, უპირველესად ბაზრის გამძვირებელია ის, ვინც უშრომელი ფულით ჯიბეებგატენილი მიადგება ბაზრის დახლს და რასაც დაუფასებენ, დაუნანებლად გადაუფრიალებს. ცოდვა გამხელილი სჯობია, გამყიდველსაც სწორედ ასეთი მუშტარი უყვარს. იგი შორიდანვე ცნობს ამგვარ მუშტარს და პატიოსანი შრომით მონაგები ფულისკენ ცალი თვალითაც არ იყურება. ასე სჯობნის უშრომელი ფული ნამდვილი გარჯით მოპოვებულს. და არა მარტო სჯობნის, თრგუნავს კიდეკაც აუფასურებს. უშრომელი ფული ზრდის სამაზრო ფასს, პატიოსნებას კი უკარგავს ფასს.

ამგვარი ამბები იწვევს ადამიანთა გადაგვარებას, ამიტომაც მიგვაჩნია, რომ იგი უბრალო დანაშაული კი არ არის, არამედ, დიდი ბოროტებაა და ეს ბოროტება ჩვენი ცხოვრებიდან უნდა ამოძირკვის სამუდამოდ, პატიოსნების მზეგ უნდა გაანმოს უშრომელი შემოსავლით განებივრებული სარეველა ბალახი.

უშრომელი შემოსავლის საჭირბოროტო სადღეისო ამბავს არა მარტო მატერიალური, უფრო ზნეობრივი მხარე აქვს. როცა უშრომელი შემოსავალთ უკეთ ცხოვრობს მავანი, ვიდრე პატიოსანი გარჯით, ეს იწვევს პატიოსან ადამიანთა სულიერ დათრგუნვას და ხშირად გულგატეხილობასაც.

ამიტომაც გახდა საჭირო ასე მწვავედ უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაჩაღება, შიშველი მახვილის შემართვა.

აქვე ამასაც შევნიშნავ, ზოგჯერ ისეც ხდება, რომ პატიოსნებისათვის ბრძოლის მეთაურობა-მესაჭეობას უპატიოსნო უფრო იჩემებს, პირწყალდნილი უპატიოსნო კაცი ეფარება პატიოსნებისათვის ბრძოლის წმინდა დროშას, პატიოსნების ნიღაბს ირგებს და კვლავ იჩაგრება ნამდვილად პატიოსანი კაცი. ამიტომაც მეტი თავდაკვირვება „გვმართებს. უშრომელ შემოსავალთან, უფრო ზუსტად, მომხვეჭელობასთან ბრძოლა უნდა წარიმართოს იმ დევიზით, რომ სრულ უფლებებში აღდგეს პატიოსანი შრომით მონაგები ფულის ფასი, პატიოსანი გარჯის ღირსება.

მთავრობის ახალი დადგენილების მთავარი მიზანია კეთილსინდისიერი, უანგარო შრომა-გარჯის ადამიანთა მხარდაჭერა, მათი ღირსების სრული აღდგენისათვის მკაცრი ბრძოლა, მათი პატიოსანი შრომის დაფასება. ამიტომაც გაახარა ამ დადგენილებამ ყველა გამრჯე ადამიანი, ბრძმედთან მდგარი მეფოლადე თუ ვაზებთან მოფუსფუსე მევენახე, იალაზე მდგარი ნაბადმოსმული მწყემსი თუ დაზგებთან ოფლისმღვრელი ხარატი, მჭედელი, ხურო თუ ფიქარი.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ცუდი ჩვეულება არა მარტო გადამდებია, მერმე ძნელად გამოსასწორებელიც არის, რაკი იგი ამა თუ იმ ადამიანის ან ადამიანთა გარკვეული ჯგუფის ბუნება-ხასიათად, მის ფსიქოლოგიად იქცევა. მომხვეჭელნი თუ არ დავაბორკილეთ, ისინი არა მარტო თავიანთ შვილს, პატიოსნად ადამიანის შვილებსაც აუმღვრევენ სულს და გარყვნიან თავიანთი ზრახვებით. ამიტომაც ვამბობთ, რომ ამ ამბავს, უპირველეს ყოვლისა, ზნეობრივი აღმოსფერის გაჯანსაღების დვრტა უდევს საფუძვლად.

ვიცით, ეკონომიკური გარდაქმნა, მატერიალური დოვლათის შექმნა-დაგროვება ადვილი არ არის, მაგრამ უფრო ძნელია ადამიანთა შეგნების გარდაქმნა, მისი ფსიქოლოგიის შეცვლა, ცხოვრების ფოლოსოფიის შეტრიალება; უფრო ადვილია გამოასწორო მატერიალური ამბების ჩამორჩენა, ვიდრე გაწმინდო ადამიანის ამღვრეული სული, მაგრამ ჩვენ ამ სიძნელეს არ უნდა შეეშინდეთ, თუ გვინდა ჩვენმა წუთისოფელმა სწორი გზით იაროს.

დაე, ამ სიტყვების ჩაუმჭრალი ჩირაღდანი გვიძღოდეს მუდამ წინ ჩვენი ცხოვრების დიდ გზაზე!

ᲐᲐᲙᲐᲙᲘ ᲒᲔᲬᲐᲫᲔ.

ᲞᲐᲪᲘᲡ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲘᲡᲘ ᲜᲐᲞᲤᲚᲐᲠᲘᲐ

ᲩᲕᲔᲜ ხელთ არის სამი ადამიანის პირადი საქმე.

გივი ივანეს ძე შაშუკი, დაბადებული 1930 წელს, პარტიის წევრი, საშუალო სპეციალური განათლებით, მუშაობდა მაიაკოვსკის საკოლმეურნეობათაშორისო მანქანურ-სატრაქტორო სადგურში მთავარ ბუღალტრად.

როზმან ალექსანდრეს ძე ნერგაძე, დაბადებული 1944 წელს, პარტიის წევრი, საშუალო განათლებით, მუშაობს მაიაკოვსკის სარემონტო-სამშენებლო უბანში ექიმად.

ამ ადამიანებს თითქმის არაფერი აქვთ საერთო ერთმანეთთან, მაგრამ თუ ამ წერილში მაინც ერთად მოხვდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთი თვისებით ტყუილის ცალივით ჰგვანან ერთმანეთს. ეს თვისებაა სიხარბე, გაუმაძღრობა, ეკრძომესაკუთრული მისწრაფებები და საზოგადოებრივი ინტერესებისადმი აგდებული დამოკიდებულება.

ახლა იმასაც მოგახსენებთ კონკრეტულად, რით გამოიხატება ეს. გივი შაშუკი 1959 წელს მამამ გამოეყო მეუღლესთან და ორ აბიურეწლოვან შვილთან ერთად ულ ცალკე დასახლდა. ხოლო მამა ივანე შაშუკს თავის მეუღლესთან ერთად ლენინის ქ. №1-ში ჰქონდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, 242 კვადრატული მეტრი საერთო ფართობით.

1964 წელს გივი ცოლ-შვილს ეგულარა. მაიაკოვსკის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებით განქორწინების შემდეგ მის მეუღლეს, მ. მახვილაძეს ორ შვილთან ერთად მამამთილის სახლში მისცეს საცხოვრებელი ფართობი — 26,95 კვადრატული მეტრი.

თავის მხრივ გ. შაშუკის მეუღლეს მ. მეფარიშვილსაც რომელთანაც მეორედ დაქორწინდა, ქ. მაიაკოვსკში აქვს ერთთთახიანი კომუნალური ბინა. ასე რომ, შაშუკს, მის მეუღლეს მ. მეფარიშვილს, შვილს, გ. შაშუკს და დედას მ. რობაქიძეს, რომლებიც ფაქტობრივად ერთ კომლად ცხოვრობენ, მაიაკოვსკში აქვთ 4 საცხოვრებელი სახლი, მათ შორის სამი ინდივიდუალური მფლობელობისა, რომელთა საერთო ფართობი 500 კვადრატულ მეტრს აღემატება.

მაინც ვინ არის ეს გივი შაშუკი, ამდენი რომ შეძლო და მოახერხა?

1950 წლის აპრილიდან 1953 წლის სექტემბრამდე იგი მუშაობდა საირმის მინერალური წყლების ჩამოსასხმელ ქარხანაში, 1953 წლის სექტემბრიდან 1954 წლის აგვისტომდე — კურორტ საირმის სანიტარული ინსპექტორია, 1954 წლის აგვისტოდან 1956 წლის ივლისამდე ისევ საირმის მინერალური წყლების ჩამოსასხმელ ქარხანაში ჯერ უროსი მუშაა, შემდეგ კი საწყობის გამგე, 1956 წლის ივლისიდან 1958 წლის ნოემბრამდე არსად არ მუშაობდა, 1958 წლის ნოემბრიდან კვლავ მოევლინა მინერალური წყლების ჩამოსასხმელ ქარხანას და ჯერ საქონელმცოდნედ დაიწყო მუშაობა, შემდეგ კი საწყობის გამგედ გადავიდა, 1965 წლიდან ერთხანს სავაჭრო დაწესებულებებში მუშაობდა, იყო სამრეწველო მაღაზიის გამყიდველი, გამგე. მერე ისევ საირმის მინერალური წყლების ჩამოსასხმელ ქარხანას დაუბრუნდა საწყობის გამგედ. დიდხანს არც ამჯერად გაჩერებულა აქ, მალე წავიდა და მებუფეტედ დაიწყო მუშაობა სასაუზმეში. შემდეგ სამ წელიწადს ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის ცენტრალური საწყობის მეკუჭნავე იყო, ამჟამად კვლავ საირმის მინერალური წყლების ჩამოსასხმელ ქარხნის მეკუჭნავედ მუშაობს.

საქმიანობის ასეთი გზა განვლო გ. ი. შაშუკმა და მოსახვეჭელიც მოიხვეჭა.

სულ სხვა საქმიანობის და ყაიდის კაცია რევაზ ლავრენტის ძე თავხელიძე.

ახალგაზრდობაში კოლმეურნეობაში მუშაობდა, 1960 წელს სოფელ ფერსათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის გადაწყვეტილებით სამუშაოდ გაიგზავნა რა ქ. ქუთაისის რეზინ-ტექნიკურ ნაკეთობთა ქარხანაში, ჯერ დროებით ჩაეწერა ქუთაისში, მალე კი შუმიანის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლი შეიძინა, უნებართვოდ მოახდინა მისი რეკონსტრუქცია, — მიაშენა, გაზარდა და გააფართოვა. აქვე ჩაეწერა მუდმივ მცხოვრებლად, თუმცა სოფელ ფერსათიდან ამოწერილი არ ყოფილა. ცალკე კომლად ითვლებოდა, მუშაობდა მაიაკოვსკის რაიონის სხვადასხვა ორგანიზაციაში. ამ დროიდან მას პირად საკუთრებაში უკვე ორი საცხოვრებელი სახლი ჰქონდა.

1970 წელს სოფელ ფერსათის სასოფლო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით დედის — ა. თავხელიძის კომლიდან რ. თავხელიძე ცალკე კომლად გამოიყო და მას ზონარგაყრილ წიგნში უკანონოდ დაეწერა 0,15 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. არადა, არ აყიდვინებენ თავიანთ ფარულ დამჭაშებს ბილეთებს ზედმეტ ფასად და უშრომელ ფულს შუაზე იყოფენ.

იშვიათია სასტუმროში მიხვიდეთ და გითხრან, ადგილი გვაქვსო, თუნდაც ნახევრად ცარიელი იყოს.

აი, მიადგა ერთი დიდ სასტუმროს ღამის თორმეტ საათზე. ადმინისტრატორმა ცივი უარი სტკიცა: ყველა ადგილი დაკავებულიაო. შეეუნებული კაცი იქვე ჩამოჯდა ჩემოდანზე. მივიდა ადმინისტრატორი და ჩუმად ურჩია: ღამეს ასე ხომ არ გაათევ, იქირავე ტაქსი, გაღმა სასტუმროში ადმინისტრატორს პასპორტზე ოცდახუთმანეთიანი ჩაუდე და ადგილს მაშინვე გამოგინახავსო. ბატონო, რჩევისათვის მადლობ, მაგრამ თქვენი დარიგება აქვე რომ გამოვიყენო, ვითომ რა დაშავდებაო? კი, ეგეც შეიძლებაო, მაშინვე დათანხმა ადმინისტრატორი სტუმარს.

ეს ანეკდოტი არ გეგონოთ, ნამდვილი ამბავია, ოღონდ ახლა ჩემი უბის წიგნაკიდან ამოვიწერე, როგორც ტიპური ამბავი.

აი, ვთქვათ, ინტელიგენტმა კაცმა მშობლიურ სოფელში დააპირე ინდივიდუალურად სახლის აშენება და მიიღეს საყოფაცხოვრებო მომსახურების რაიონულ სამმართველოს. სამმართველოს წლიური გეგმა აქვს, ჩაგსვამს იმ გეგმაში, მაგრამ... მერე იწყება დავიდარაბა და ტყუილების კორიანტელი, წლობით ელოდები მშენებლობის დაწყებას. რატომ? სამმართველოს ხომ გეგმა აქვს შესასრულებელი? მაგ, რატომ გიჭიანურებენ სახლის მშენებლობის დაწყებას? მიზანი ერთია, შენგან „ხელის ჭუჭყს“ ელოდებიან. თუ მიართმევ და ეცოტავებათ, ისევ გაგიჭიანურებენ მშენებლობას და თუ დაიწყეს, ცდილობენ, ყოველ ნაბიჯზე მოგატყუონ, ხან რას იმიზეზებენ და ხან რას. მიზანი აქაც ერთია: რაც შეიძლება მეტი თანხის გამოძალვა, ქვითარში რომ არ ჩაიწერება.

ასეც ხდება: სამომხმარებლო საქონელს თუ ბინის საშენ მასალას, რომელიც ლიმიტით კარგა ხანია გეკუთვნის და ოფიციალური ქვითრით გამოწერილიც გაქვს, არ გაძლევენ დროულად, გიმალავენ, დღეხვალეობით გიყოლიებენ, რომ ზედმეტი თანხა დაგცანცლონ, ან იმ გამოწერილი მასალის ნაწილი ისე დაიტოვონ, მთლიანად მიღებაზე მოგაწერინონ ხელი.

რატომ არის ასე ხშირად, რაც ადამიანებს პრაქტიკულად სჭირდებათ, არ იშოვება, დიოგენის ფარნითაა საძებარი, ხოლო რაც არ სჭირდებათ, თაროებს ამტვრევს ხანგრძლივი გაუსაღებლობით.

რატომ იყიდება ამა თუ იმ საწყობის გამგის ადგილი? ეს ძნელი ამოსახსნელი ამოცანა არ არის, უკვე ბავშვმაც კი იცის რატომაც: რომ ესა თუ ის საქონელი დახლზე გამოუჩენლად საწყობშივე გაიყიდოს ზედმეტ ფასად, ზოგჯერ მამასისხლადაც.

საჭირო ხარისხიანი საქონლის დეფიციტი ხელს უწყობს ქორვაჭართა აღზევებას, მაგრამ ქორვაჭართა ხელის დაცლას კი ხელს უწყობენ უშრომელი ფულით გამდიდრებულ-გაყოყოჩებული საქმოსნები. ისინი ფულს, რომლის მოსახვეჭადაც შრომა-გარჯის ოფლი არ დაუღვრიათ, დაღლილ იმეტებენ, ჰაიჰარად ფანტავენ და ქორვაჭრებიც ასეთ ადამიანებს ეტანებიან.

მე ქორვაჭრებთან არაფერს ვყიდულობ და ხშირად მითქვამს კიდეკაც: თუ გინდათ ქორვაჭრობა მოისპოს, სპეკულანტისაგან ნურაფერს შეიძენთ-მეთქი. მაგრამ რა ქნას კაცმა, განსაკუთრებით ახალგზრდამ, როცა ფრიად გაიზარდა ჩაცმა-დახურვის გემოვნება, დაბლზე კი ხარახურა საქონელი ყრია ხოლმე.

ერთი თხისკენ და მეორე მგლისკენო. თუ სამამულო წარმოება ხალხს მაღალხარისხოვანი საქონლის მიწოდებით დააკმაყოფილებს, თანაც იმდენით, რამდენიც პრაქტიკულად სჭირდება მას, ქორვაჭრებთან რაიმეს საყიდლად რატომღა წავა ვინმე? ამიტომაც, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაუჯობესდეს სამამულო საქონელწარმოების ხარისხი, სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხი.

ცხოვრებაში არის მოჩვენებითი საქმიანობა და ნამდვილი საქმე, ასე ვთქვათ, არავისთვის საჭირო და „ყველასათვის საჭირო. ახლა, დასამალი რაა, ბევრგან შეიმჩნევა მოჩვენებითი საქმიანობა, ნამდვილი საქმე კი ცოტაა. შენი გაკეთებული საქმე თუ არავის სჭირდება, ესე იგი, არ არის ნამდვილი საქმე.

არაშრომით შემოსავლად მიმაჩნია მე ისიც, როცა ამა თუ იმ დაწესებულებაში გაბერილია შტატები და მოსამსახურეთა უმრავლესობა უსაქმოდ ზის და ან ბუზებს ითვლის, ან ქსოვს, ან მხოლოდ პირადოჯახური საქმეებით არის დაკავებული. არაშრომითი შემოსავალია ისიც, როცა ერთი კაცის გასაკეთებელ პატარა საქმეს ათი და ოცი კაცი აკეთებს, ცხრამეტი კაცი უსაქმეოობისთვის სრულად რომ იღებს ჯამაგირს სახელმწიფო ჯიბიდან.

აი, პატარა სამწვადე გზაჯვარედინთან. აქ ყოველთვის ხალხმრავლობაა, ერთ დღეს ასი კაცი მაინც ზლის სუფრას და... მიმტანი თითოეულ კაცზე ზედმეტად ანგარიშობს (ეს უკვე დაუწერელი წესია) თუმანს. ესე იგი, მიმტანი დღეში ათასამეთოთაანია. იგი, რა თქმა უნდა, ამ თანხას სხვებსაც უნაწილებს — „ხაზეინებს“, მაგრამ მესამედიც რომ დარჩეს თვითონ ცოტაა სამასი მანეთი! ეს ხომ მეცნიერი კაცის თვიური ხელფასია, ინტელიგენტი კაცის გასამრჯელო! თანაც, მე ასეთ ბრალია, მიმტანის თუ მებუფეტის ადგილი რომ იყიდება.

ზედმეტის მიცემა თუ არ გინდა, შენ ისადილე, სამწვადეში ნუ შეხვალო, მესმის მაკინის ქირქილი. იმ მოქირქილის პასუხად ვამბობ: ზოგჯერ სამწვადეშიც უნდა შევიდეს ადამიანი, სალობიში, სახინკლეში და რესტორანშიც, მაგრამ იმისაფვის კი არა, გაატყაონ.

ხდება ხოლმე, შევიდეთ, ზედმეტი რატომ გვიანგარიშეო, და იმის მაგივრად რომ ბოდიში მოგვიხადონ, გვლანძღავენ: თუ მათხოვარი იყავი, აქ რატომ შემოხვედი, ხიდის ყურთან დამდგარიყავი სამოწყალოდ ხელგაშვერილიო. არადა, თვითონ არის მათხოვარიც, წამგლეჯიც და უარესიც.

ხშირად გკითხულობთ წერილებს გაზეთში, ვინ აძვირებს ბაზარსო. ძირითადად ქორვაჭრებს და თვითონ ბაზრის მომსახურე პერსონალს აბრალებენ ამას. ჩემი აზრით კი, უპირველესად ბაზრის გამძვირებელია ის, ვინც უშრომელი ფულით ჯიბეებგატენილი მიადგება ბაზრის დახლს და რასაც დაუფასებენ, დაუნანებლად გადაუფრიალებს. ცოდვა გამხელილი სჯობია, გამყიდველსაც სწორედ ასეთი მუშტარი უყვარს. იგი შორიდანვე ცნობს ამგვარ მუშტარს და პატიოსანი შრომით მონაგები ფულისკენ ცალი თვალითაც არ იყურება. ასე სჯობნის უშრომელი ფული ნამდვილი გარჯით მოპოვებულს. და არა მარტო სჯობნის, თრგუნავს კიდეკაც აუფასურებს. უშრომელი ფული ზრდის სამაზრო ფასს, პატიოსნებას კი უკარგავს ფასს.

ამგვარი ამბები იწვევს ადამიანთა გადაგვარებას, ამიტომაც მიგვაჩნია, რომ იგი უბრალო დანაშაული კი არ არის, არამედ, დიდი ბოროტებაა და ეს ბოროტება ჩვენი ცხოვრებიდან უნდა ამოძირკვის სამუდამოდ, პატიოსნების მზეგ უნდა გაანმოს უშრომელი შემოსავლით განებივრებული სარეველა ბალახი.

უშრომელი შემოსავლის საჭირბოროტო სადღეისო ამბავს არა მარტო მატერიალური, უფრო ზნეობრივი მხარე აქვს. როცა უშრომელი შემოსავალთ უკეთ ცხოვრობს მავანი, ვიდრე პატიოსანი გარჯით, ეს იწვევს პატიოსან ადამიანთა სულიერ დათრგუნვას და ხშირად გულგატეხილობასაც.

სასაზრდოდ
დარბაზიდან
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲣᲮᲕᲐᲓ ᲛᲝᲘᲛᲙᲔᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲗᲔᲡᲘᲐᲗ

ᲮᲣᲗᲗᲐ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲘᲗ იურისტია ირაკლი სიმონის ძე პეტრიაშვილი, მაგრამ კასპის კოოპვაჭრობაში მოსახლეობიდან სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქტების შემსყიდველად მუშაობდა. საქმე ჰქონდა სუნელის, ქინძის, წიწაკის, ნივრის შესყიდვა-გადაზიდვასთან. ერთი სიტყვით, სარფიან საქმეს მოკიდა ხელი და თანამოაზრეებსაც დაუკავშირდა — ნამეტი პროდუქტების შემსყიდველს ნოდარ ივანეს ძე ჯლანტიაშვილს, ლილოს ხილბოსტნეულის კომბინატის მთავარი ბუღალტრის მოვალეობის შემსრულებელს შოთა ალექსანდრეს ძე სუხბაშვილს, კასპის კოოპვაჭრობის გამსვლელ მოლარეს გიორგი ბაგრატის ძე ოქრუაშვილს, აგრეთვე დონეცკის ოლქის ერთ-ერთი ქალაქის საკონსერვო საამქროს უფროსს ხუსეინ ისრაელის ძე სირაბიძეს.

ხუთთა დანაშაულებრივი კავშირის მოქმედების ასპარეზი იყო: კასპის კოოპვაჭრობა, ავტოსაწარმო, სახბანები კასპისა და თბილისის საქარხნო რაიონების განყოფილებები, ლილოს ხილბოსტნეულის კომბინატი და დონეცკის ოლქის ქალაქ ხარციზსკის მილების ქარხნის მუშათა მომარაგების განყოფილება, ამ კოლექტივების მუშაკები კონტროლს არ უწევდნენ იმას, თუ რას სჩადიოდნენ ხუთეულის წევრები. ისინი კი თვიდან თვემდე ქმნიდნენ ყალბ საბუთებს, ქვითრებს და ანაგებდნენ სახელმწიფო ქონებას.

მათი ერთობლივი მოქმედებით 1982-1983 წლებში

მსოფლიოში
ფაქტები • მოვლენები

დრო და ხელოვანი

მომღერლის ბედნიერება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით: ქართული საბჭოთა საესტრადო ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტი ამხ. ნანი გიორგის ასული **ბრეგვაძე** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სატატიო სიგელით.

„როცა ჩემი ბრიგადის ქალიშვილები რადიოთი ისმენენ სიმღერებს თქვენი შესრულებით, იმ დღეს ისინი განსაკუთრებული ამაღლებით შრომობენ“, — სწერს სსრ კავშირის სახალხო არტისტს ნანი ბრეგვაძეს ივანოვოს საფეიქრო გაერთიანების კომუნისტური შრომის ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი ლენა მარტინოვა.

ეს კი სვერდლოვსკიდან მიღებული წერილია: „თქვენი შესრულებით რუსული რომანსები რაღაც საოცრად მომხიბლავია. ქართული კლოთი შესრულებული, ისინი კიდევ ერთხელ მოგვგონებენ ჩვენი ხალხების დიდი ხნის სულიერ ნათესაობას“. წერილს ხელს აწერს გადამდგარი პოლკოვნიკი ა. სემიონოვი.

„თქვენ შეგიძლიათ ადამიანის სულში გაალვიძოთ ყველაზე სანუკვარი გრძნობები, თითქოს ბაგეებით კი არ მღერით, არამედ გულით“, — იწერება ცნობილი პოეტი ანატოლი სოფრონოვი.

ცნობილი საბჭოთა მომღერლის საოჯახო არქივში ქვეყნის ყველა კუთხიდან მიღებული ათასობით წერილია. თაოლობეზე საგულდაგულოდ დალაგებული, ისინი მოწმობენ, რომ ყველაზე მეტი „თაყვანისმცემელი“ ქართველ მომღერალს რუსეთში ჰყავს.

რუსული რომანსების შესრულება ქართული საშემსრულებლო სკოლის დიდი ხნის ტრადიციაა. მე-19 საუკუნეში საქართველოში რუსული რომანსები თბილისური ქალაქური სასიმღერო ფოლკლორის შემადგენელი ნაწილი გახდა. შემთხვევითი როდია, რომ ნ. ბრეგვაძის ოჯახში ინახება ძველებური ნოტები რუსული რომანსების ცნობილი შემსრულებლის თამარ წერეთლის სასაჩუქრო წარწერით, რომელიც ახალგაზრდა მომღერალს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა.

როცა ნანის ეკითხებიან, როგორ და როდის დაიწყო სიმღერა, იგი მხრებს იჩეჩავს. ამ კითხვაზე მართლაც უძნელდება პასუხის გაცემა. სიმღერა იყო მისი პირველი ცოცხალი შეგრძნება, იგი გაიზარდა ოჯახში, სადაც ყველა მუსიკის მოყვარული იყო.

ამ „მუსიკის შეგრძნებამ“ აიძულა თავის დროზე თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავრებული ფორტეპიანოს კლასით ესტრადაზე გამოსულიყო. და აი მეოთხედ საუკუნეზე მეტია იგი მსმენელებს აჯადოებს თავის „ბრეგვაძისეული“ სიმღერით, რომელიც არასდროს და არავისში არ აგერევა. მან სიმღერით მოიარა მთელი ქვეყანა, თითქმის მთელი პლანეტა. გამოდიოდა პარიზში, ნიუ-იორკში, ტოკიოში, მსოფლიოს სხვა დედაქალაქებში.

—და მაინც, — თქვა ნანიმ, გგრძნობ, რომ ბოლომდე მიგებდნენ მოსკოვში, ლენინგრადში, რუსეთის საშუალო ზოლში. იქ განსაკუთრებით ესმით ჩემი.

ამ დღეებში მსახიობი მიემგზავრება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. სექტემბერში ანსამბლ „რუსთავთან“ ერთად გამოდის პორტუგალიაში. შემდეგ კი კვლავ გასტროლები საბჭოეთში...

ამ ბოლო დროს ნანი ბრეგვაძის შესახებ ბევრს წერენ. თუმცა თავად მომღერალი მეტად სიტყვაძუნწია. აღნიშნავენ მის თავისთავადობას, რომელიც გულის სიღრმიდან, ძველი ქართული სასიმღერო კულტურის წიაღიდან მოდის.

უშუალო, ალალმართალი ნანი ბრეგვაძე, რომელსაც გულთან ახლოს მიაქვს სხვისი გაჭირვება, მაღალი მისწრაფებების ადამიანი, შესანიშნავი დედა და... ბებიაა. იგი გულწრფელად ხარობს, როცა მისი სიმღერა ადამიანებს სიხარულს ანიჭებს.

— ეს არის მომღერლის ბედნიერება, — დასკვნის ნანი.

ლ. გაგუა,
საქინფორმის კორ.

22 ივლისი — საქართველო

ამერიკაში

ფაქტები • მოვლენები

გმობენ ბირთვულ გამოცდას ნევადაში

ნიუ-იორკი. ამერიკის საზოგადოებრიობა გულისწყრომით გმობს შეერთებული შტატების მიერ მოწყობილ მორიგ ბირთვულ აფეთქებას და მოითხოვს ყველა ბირთვული გამოცდის დაუყოვნებლივ აკრძალვას.

რეიგანის ადმინისტრაცია აშკარად აპირებს აფეთქებათა განგრძობას, იგი უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ აგერ უკვე თითქმის წელიწადია მოქმედებს საბჭოთა კავშირის მიერ გამოცხადებული ბირთვული გამოცდების მორატორიუმი, აღნიშნულია გავლენიანი საზოგადოებრივი ორგანიზაციის „სოციალური პასუხისმგებლობის მომხრე ექიმების“ განცხადებაში. ეს ორგანიზაცია აჩაღებს ფართო კამპანიას, რათა ამერიკის ქალაქების მუნიციპალიტეტებს მიაღებინოს რეზოლუციები, რომლებიც მოუწოდებს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს უარი უთხრას ადმინისტრაციას გამოცდების მოწყობისათვის საჭირო ასიგნებებზე. ქალაქ ჩიკაგოს მშვიდობის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 6 აგვისტოს, ჰიროსიმის ბირთვული დაბომბვის წლისთავის დღეს, მოაწყოს მრავალათასიანი დემონსტრაცია და მოითხოვოს ბირთვული გამოცდების დაუყოვნებლივ შეწყვეტა, მხარი დაუჭიროს გამოცდების სრული და საყოველთაო აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების დადებას.

გონი. ბუნდესტაგში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის განიარაღებისა და შეიარაღებისადმი კონტროლის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა გერმან შეერმა დაგმო ვაშინგტონის კურსი, რომელიც ბირთვული პოტენციალის გაძლიერებას ითვალისწინებს.

ყოველი ახალი გამოცდა გამლიბული შეიარაღების ესკალაციის გზაზე გადადგმული ნაბიჯია. ნევადაში ფრაქციის განიარაღებისა და შეიარაღებისადმი კონტროლის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა გერმან შეერმა დაგმო ვაშინგტონის კურსი, რომელიც ბირთვული პოტენციალის გაძლიერებას ითვალისწინებს.

● **უნგრეთი**

ერთიანი ქალისხმევით

დამთავრდა მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენცია

ბუდაპეშტი. სულ უფრო ფართოვდება მეცნიერთა მოძრაობა ბირთვული საფრთხის თავიდან აცილებისათვის. გაერთიანებული ძალებით მეცნიერების მოღვაწეებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ მშვიდობისათვის, ბირთვული კატასტროფის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ეს აზრი გახდეს ლაიტმოტივად აქ დამთავრებულ მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენციის მუშაობას. ევროპის 10 ქვეყნის, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის წარმომადგენლებმა იმსჯელეს გამალებული ბირთვული შეიარაღების მიზეზებსა და შედეგებზე.

ბუდაპეშტის კონფერენციის მოწმობს, რომ მეცნიერების მოღვაწეებს სულ უფრო აწუხებთ აულაგმავი გამალებული შეიარაღება და აღსავსენი არიან მტკიცე გადაწყვეტილებით თავიდან აარიდონ კაცობრიობას ბირთვული კონფლიქტის საფრთხე, თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბრისას საბჭოთა მეცნიერების დელეგაციის მეთაურმა ს. პ. კაპიცამ.

ბუდაპეშტის ფორუმზე ითქვა, რომ მეცნიერებს ეკისრებათ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ქვეყნად მშვიდობის საქმისათვის, რომ დღეს განსაკუთრებით საჭიროა ყველა ქვეყნის მეცნიერების მოღვაწეთა გაძლიერებული მეცადინეობა ბირთვული კონფლიქტის თავიდან აცილებისა და მსოფლიო ცივილიზაციის შენარჩუნების ინტერესებისათვის.

● **იაპონია**

გაიხსნა რიგგარეშე სესია

ტოკიო. აქ გაიხსნა იაპონიის პარლამენტის რიგგარეშე სესია. ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო იკრიბება პირველად 6 ივლისს გამართული პარლამენტის ორივე პალატის ერთდროული არჩევნების შემდეგ.

კონსტიტუციის შესაბამისად სესიაზე სრული შემადგენლობით გადადგება ანლანდელი მთავრობა და დელეგატები აირჩევენ პრემიერ-მინისტრს, რომელსაც დაევალება ახალი კაბინეტის შექმნა, მთავრობის მეთაურის პოსტზე კვლავ წამოაყენებენ იასუჰირო ნაკასონეს, როგორც ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეს. ამ პარტიამ არჩევნებზე ხმების უმრავლესობა მიიღო, არჩევნების შედეგები საშუალებას აძლევს ლიბერალურ-დემოკრატებს პარლამენტს ფაქტობრივად შეუფერხებლად მიაღებინონ მათთვის ხელსაყრელი კანონპროექტები. ერთ-ერთი პირველი მათგანი იქნება სახელმწიფო რკინიგზების დენაციონალიზაციასთან დაკავშირებული კანონპროექტი.

● **იტალია**

კონსულტაციების ახალი ტური

რომი. იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ფრანჩესკო კოსიგამ ქვეყნის ახალი მთავრობის შექმნა დაავალა სოციალისტური პარტიის პოლიტიკურ მდივანს ბეტინო კრაქსის.

ეს ნაბიჯი გადაიდგა მას შემდეგ, რაც ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი ჯულიო ანდრეოტი წარუმატებლად შეეცადა მოეწესრიგებინა მთავრობის გაჭიანურებული კრიზისი. იგი დაიწყო 27 ივნისს, როცა ხუთპარტიული კოალიციური მთავრობა კრაქსის მეთაურობით გადადგა. გადადგომის მთავარი მიზეზი იყო მწვავე უთანხმობა კოალიციაში წამყვან პარტნორებს — ქრისტიან დემოკრატებსა და სოციალისტებს შორის. ახალი კაბინეტის შექმნის მიზნით მოწყობილი პოლიტიკური კონსულტაციები, რომლებიც თითქმის მთელი თვე გრძელდებოდა, ჯერჯერობით უნაყოფო აღმოჩნდა ყოფილ პარტნიორებს შორის იმ საკითხში უთანხმოების გამო, თუ ვინ უხელმძღვანელებს მომავალ მთავრობას.

ბ. კრაქსი ახლა კონსულტაციების ახალ ტურს გამართავს, სანამ საბოლოო პასუხს გასცემდეს პრეზიდენტის წინადადებას.

● **ისრაელი-მაროკო**

საიდუმლო ვიზიტი

ნიუ-იორკი. როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტო თელ-ავივის ოფიციალური წყაროების დამოწმებით იუწყება, ისრაელის პრემიერ-მინისტრი პერესი სრული საიდუმლოების ვითარებაში სამხედრო თვითმფრინავით გაფრინდა მაროკოში მეფე ჰასან მეორესთან მოსალაპარაკებლად.

ამ ვიზიტის მიზანია, აღნიშნავს საგენტო, „გამოაცოცხლოს ნორმალიზაცის პროცესი“ ახლო აღმოსავლეთში. მაროკოს მეფე, ნათქვამია ცნობაში, უნდა გახდეს „ხიდი ისრაელსა და იორდანიას შორის“.

მეთვალყურეთა აზრით, „ფაქტობრივად საქმე ეხება თელ-ავივისა და ვაშინგტონის ახალ ცდას მიაღებინონ და თავს მოახვიონ არაბულ ქვეყნებს მათ მიერ მტკიცედ უარყოფილი ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოწესრიგების „კაპიტულანტური ვარიანტები კემპ-დევიდის სცენარის მიხედვით.

● **ინდოეთი**

ტელეტაიპის ლენტიდან

◆ **დამასკო.** როგორც დამასკოს რადიო იუწყება, სირიამ ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა მაროკოსთან. ამის საბაბი გახდა ცნობა ამ ქვეყანაში ისრაელის პრემიერ-მინისტრის პერესის ვიზიტისა და მეფე ჰასან მეორესთან მისი მოლაპარაკების თაობაზე.

◆ **ბუენოს-აირესი.** რეაქციულმა ელემენტებმა ტერორისტული აქცია განახორციელეს არგენტინის კომპარტიის წინააღმდეგ. ქალაქ როსარიოში მათ დაწვეს კომპარტიის ადგილობრივი განყოფილების შტაბ-ბინა. შენობას საგრძნობი მატერიალური ზარალი მიადგა.

◆ **ლონდონი.** დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეფრი ჰაუმ დაიწყო ბოლო ხანს მეორე მოგზაურობა სამხრეთ აფრიკაში. იგი ეწვევა პრეტორიას, სადაც, როგორც იუწყებიან, შეხვდება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტს პიტერ ბოტას და რასისტული რეჟიმის სხვა თავკაცებს.

◆ **ლუანდა.** ანგოლის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება სრული კონტროლი დაწესოს ქვეყანაში ალმასის მოპოვებას. ანგოლის მთავრობამ გამოაცხადა, რომ დაიშალა „დიამანგის“ კომპანია, რომელშიც უცხოეთის კაპიტალი მონაწილეობდა, და მის ნაცვლად შეიქმნა საწარმო „ენდიამი“, რომლის ყველა აქცია ანგოლის სახელმწიფოს ეკუთვნის.

● **ეგვიპტე**

ტერორისტული აქტი

მადრიდი. ესპანეთის დედაქალაქში მოხდა ახალი ტერორისტული აქტი: ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს შენობას უემბარსატყორცნეს ცეცხლი დაუშინეს. შვიდი ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარიდან, რომლებიც მსუბუქი მანქანიდან ისროლეს დისტანციური მართვის მეშვეობით, ხუთი სამინისტროს შენობას მოხვდა. როცა შემთხვევის ადგილზე პოლიცია მოვიდა, აფეთქდა ასაფეთქებელი ნივთიერებით გატენილი მეორე ავტომანქანა.

ტერორისტული აქტის შედეგად დაიჭრა შვიდი კაცი, მათ შორის გენერალ-ლეიტენანტი. პოლიციის აზრით, თავდასმა მიმართული იყო თავდაცვის მინისტრის ნარსის სერას წინააღმდეგ, რომელიც ამ დროს სამინისტროს შენობაში იმყოფებოდა. ასაფეთქებელი ნივთიერებით გატენილი ავტომობილის აფეთქებისაგან ცეცხლი მოედო სხვა ავტომანქანებს, ატყდა პანიკა გამვლელთა შორის. პოლიციამ შეწყვიტა მოძრაობა მადრიდის ცენტრალურ მაგისტრალზე — კასტელიანას პროსპექტზე.

ეს უკვე მეორე ტერორისტული აქტია, რომელიც ესპანეთის დედაქალაქში მოხდა ბოლო დღეებში. გასულ ორშაბათს დომინგოს რესპუბლიკის მოედანზე დანაღმული ავტომანქანა აფეთქდა. აფეთქების შედეგად დაიხოცა იქვე ჩავლილ ავტობუსში მყოფი ათი სამოქალაქო გვარდიელი და დაიჭრა 55 კაცი.

● **კანადა**

ატმოსფეროს გაჭუჭყიანება სამრეწველო წარმოების ნარჩენებით ნამდვილ უბედურებად იქცა კანადისათვის. მის ტერიტორიაზე ყოველწლიურად 4 მილიონ ტონამდე ტოქსიკური ნალექები მოდის, რომლებიც უმთავრესად ჰაერის ნაკადს ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოაქვს. ამის შედეგად ქვეყნის მრავალრიცხოვან ტბებს, ტყის მასივებს, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებსა და თვით კანადელთა ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე ექმნება. კანადისა და ამერიკის შეერთებული შტატების ავტორიტეტულ მეცნიერებს, გარემოს დაცვისათვის მებრძოლი ორგანიზაციების აქტივისტებს არაერთხელ აღუნიშნავთ ის ფაქტი, რომ ეგრეთ წოდებული „მყავური წვიმები“ ამერიკის შეერთებული შტატების სამრეწველო კორპორაციების, უწინარესად, ქიმიური კონცერნების, უკონტროლო საქმიანობის პირდაპირი შედეგია.

სურათზე: გარემოს დაცვისათვის მოძრაობის აქტივისტი სიმბოლურ კოსტუმში ერთ-ერთ საპროტესტო მანიფესტაციაზე.

საკდესის ფოტო.

● **ნიკარაგუა**

გააძევეს ამერიკელი ჟურნალისტები

მანაგუა. ნიკარაგუის მთავრობამ ქვეყნიდან გააძევა გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ კორესპონდენტი გლენ გარვინი და ამერიკელი ჟურნალისტი ქალი ხიუ მალინი. სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მონაცემებით, მათ კავშირი ჰქონდათ ამერიკის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან.

როგორც ნიკარაგუის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ოსკარ მელომ განაცხადა, ამერიკელებს არ ჰქონდათ ჟურნალისტისათვის აუცილებელი დოკუმენტები, უნებართვოდ მიდიოდნენ აკრძალულ სამხედრო ზონებში.

ფოტოფაქტი

გასტროლები

დიდი თეატრი ლონდონში

ლონდონი. სამეფო საოპერო თეატრ „კოვენტ-გარდენში“ ბალეტ „ივანე მრისხანეს“ პრემიერით იწყება სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის საბალეტო დასის გასტროლები.

საბჭოთა მსახიობები ლონდონის თეატრალური ხელოვნების მოყვარულთა სამსაოროზე წარმოადგენენ აგრეთვე სპექტაკლებს „რაიმონდას“, „სპარტაკს“. ბრიტანეთის დედაქალაქის გარდა ისინი გამოვლენ მანჩესტერსა და ბირმინჰემში. დიდი თეატრის მსახიობთა გასტროლების 150-ზე მეტ მონაწილეთა შორის არიან ინგლისელი ბალეტის თაყვანისმცემლებისათვის კარგად ცნობილი ნატალია ბესმერტნოვა, ლიუდმილა სემენიაკა, ნინა სემიზოროვა, მიხეილ გაბოვრი. ლონდონელთა ცნოველ ინტერესს იწვევენ აგრეთვე საბჭოთა საბალეტო სკოლის ახალგაზრდა ნიჭიერი წარმომადგენლები — ნინო ანანიაშვილი, ირეკ მუჰამედოვი, ანდრის ლიეპა, გედიმინას ტარანდა და სხვები.

ფოტოფაქტი

მოქმე პოლონეთის წიგნებზე

მოგზაურობა მაღაზია „მეგობრობაში“

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის გამომცემლობისა და პოლიგრაფიის მიღწევები წარმოდგენილია წიგნის გამოფენაზე, რომელიც 21 ივლისს გაიხსნა მაღაზია „მეგობრობაში“. თბილისში პოლონური წიგნის დეკადა ეძღვნება ფაშისტი დამპყრობლებისაგან პოლონეთის განთავისუფლების 42 წლისთავს — აღორძინების დღეს.

გამოფენა-ვაჭრობაზე წარმოდგენილია უკანასკნელი წლების მანძილზე პოლონური გამომცემლობების მიერ გამოშვებული პოლიტიკური, მეცნიერულ-პოპულარული და მხატვრული ლიტერატურა, ცნობარები და ალბომები. გამოფენის დამთვალიერებელთა ყურადღებას იპყრობს წიგნების პოლიგრაფიული გაფორმების მაღალი ხარისხი.

— მომმე სოციალისტური ქვეყნების ახალ წიგნთან ყოველი შეხვედრა შუდამ სასიხარულოა, — თქვა გამოფენის გახსნაზე „საქწიგნის“ მმართველმა, რესპუბლიკის გამსახკომის თავმჯდომარის მოადგილემ ე. სიხარულიძემ. — საქართველოში დიდი ტრადიციებითაა გამოცემული ადამ მიცკევიჩის, თანამედროვე პოეტების კონსტანტინე გალინსკის, ტადეუშ რუჟევიჩის, იგორ სეფერიანის, ზბიგნევ ჰერბერტისა და სხვათა წიგნები. პოლონურ წიგნთან ახლანდელი შეხვედრა ერთ-ერთ საინტერესო ფურცელია ჩვენი ხალხების კულტურების მეგობრობის ისტორიაში.

ვერნისაჟზე გამოვედა პოლონეთის საგარეო ვაჭრობის ფირმის „არს პოლონას“ წარმომადგენელი გაბრიელა ზდანოვსკა, რომელმაც მხურვალე მადლობა გადაუხადა ქალაქის საზოგადოებრიობას, ქართველ მეგობრებს გულთბილი და გულითადი შეხვედრისათვის.

პოლონეთ-საქართველოს ლიტერატურულ და ისტორიულ ურთიერთობაზე ილაპარაკეს გამოფენაზე გამომცემლობა „მერნის“ დირექტორმა გ. გვერდწითელმა, გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორმა მ. ფოცხიშვილმა, საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის წევრმა პროფესორმა კ. ცქიტიშვილმა.

პოლონური წიგნის დეკადა ჩვენი ქვეყნის თორმეტ ქალაქში იმართება. (საქინფორმი).

ყაბალი

მიტიშჩის სასროლეთზე მოპოვებული ოქრო

მოსკოვიდან სასიხარულო ცნობა მოვიდა: მიტიშჩის სასროლეთზე (დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატზე) მრგვალ სტენდზე სროლაში საქართველოს ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ თამაზ იმნაიშვილი, გია შენგელია და დავით ქვათაძე, 437 ქულა დააგროვა და ქვეყნის ჩემპიონის წოდებას დაეუფლა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები (436), მესამეზე — მოსკოველები (438).

რაც შეეხება პირად პირველობას, აქაც ქართველმა სპორტსმენმა იმარჯვა: **თამაზ იმნაიშვილმა 221 ქულა დააგროვა და სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება დაიხაკუთრა.**



სურათებზე: პირად და გუნდურ შეჯიბრებაში გამარჯვებული თამაზ იმნაიშვილი, გუნდურ ასპარეზობაში გამარჯვებულები დავით ქვათაძე და გია შენგელია.

მედლები და ადგილები

ახლახან დამთავრებული კეთილი ნების ასპარეზობებში საქართველოს სპორტსმენთაგან სულ ათმა სპორტსმენმა დაიცვა საბჭოთა სპორტის ღირსება. მკითხველებს შევახსენებთ მათგან ვინ რა შედეგები მოიპოვა.

ჩვენს სპორტსმენთაგან ყველაზე მეტად ისახელა თავი **თანამედროვე ხუთბედელმა ვახტანგ იაგორაშვილმა.** იგი როგორც პირადში, ისე გუნდურ შეჯიბრებებში ოქროს მედლებს დაეუფლა. ამ სახეობაში ფოსასპარეზე მეორე თბილისელი იგორ ბრიზგალოვი ამჯერად XI ადგილს დასჯერდა.

მძლეოსანი მაია აზარაშვილი 4X100 მეტრზე ესტაფეტაში საბჭოთა ნაკრების სხვა წევრებთან ერთად ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა. იგი 100 მეტრზე რბენაში კი მერვე იყო.

ველოსიპედისტმა ოთარ მჭედლიშვილმა ვერცხლის მედალი დაისაკუთრა ადგილიდან 1000 მეტრზე ჰიტში.

ასევე ვერცხლის მედალი მიიღო 54 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში მოასპარეზე **მოკრივემ ხვიჩა ხდრიანმა, იური სავოჩკინი** კი 60 კილოგრამამდე წონის მოკრივეთა შორის ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

თავისუფალი სტილის მოჭიდავე დავით გობეჯიშვილი მძიმე წონაში პირადი პირველობის ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა, გუნდურ ჩათვლაში კი ოქროს მედლით.

აფროსნობაში „ვარსკვლავის“ კლასის ნავებით მოასპარეზეთა შორის გურამ ბიგანაშვილი მეორე საარჩიო ადგილზე გამოვიდა.

იასპარეზეს აგრეთვე **ჩოგბურთელებმა ლეილა მესხმა** და ვლადიმერ გაბრიჩიძემ. ჩვენი ჩოგბურთელები ამჯერად პრიზიორთა მიღმა დარჩნენ.

ასპარეზობათა დაწყებამდე საქართველოდან საბჭოთა ნაკრები გუნდების კანდიდატები იყვნენ მძლეოსანი ოლეგ სტრიჟაკოვი, თავისუფალი სტილის მოჭიდავე ლერი ხაბელოვი, ძიუდოისტები ლერი ნაკანი, კობა კურტანიძე და მალხაზ ბერუაშვილი, ტანმოვარჯიშენი ეკა ზეთურიძე და ვლადიმერ გოგოლაძე, ხელბურთელი ალექსანდრე ანპილოგოვი და წყალმხტომელი გიორგი ჩოგოვაძე. აღნიშნულმა სპორტსმენებმა ნაკრების გუნდების შემადგენლობაში სხვადასხვა მიზეზით ვერ დაიმკვიდრეს ადგილი და ცხადია, ამის გამო ვერ იასპარეზეს. მაგალითად, გოუგებარი იყო, რატომ ვერ მოხვდა ნაკრებში ჩვენი სტაიერი სტრიჟაკოვი, რომელმაც ადრე ლენინგრადში ძმები ზნამენსკების მემორიალზე 10 000 მეტრზე რბენაში პირველობა მოიპოვა, კეთილი ნების ასპარეზობათა შემდეგ კი კიევში გამართულ საკავშირო ჩემპიონატზე ოქროს მედალს დაეუფლა. წარმატება მოიპოვა თავისუფალი სტილით ჭიდაობაში და პირველი ადგილი მოიპოვა მინსკში დამთავრებულ სასპარტაკიადო შეჯიბრებებში ლერი ხაბელოვმაც. მანამდე კი იგი კეთილი ნების ასპარეზობათა სარბიელზე ვერ ვიხილეთ. ცხადია, მიზეზები იმისა, რომ საქართველოს რიგმა სპორტსმენებმა ბოლომდე ვერ დიმკვიდრეს ადგილები ნაკრებ გუნდებში, სხვადასხვა მოტივისაა და, შემდგომისათვის ამის გათვალისწინება უწინარესად როგორც სპორტსენებს, ისე მათს მწვრთნელებს მართებთ.

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაათავისუფლა ამხ. ვალერიან გივის ძე ბაქრაძე საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

ვ. ალადაშვილი

საქართველოს სამედიცინო საზოგადოებრიობამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა ცნობილი კლინიცისტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სკკპ წევრი 1952 წლიდან, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან დაავადებათა კათედრის გამგე, პროფესორი ვახტანგ **ალადაშვილი.**

ვახტანგ ალადაშვილი დაიბადა 1921 წელს უთვალსაჩინოესი ქართველი თერაპევტის აკადემიკოს ალექსანდრე ალადაშვილის ოჯახში. მთელი მისი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტთან არის დაკავშირებული.

იგი 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათგან 10 მონოგრაფიისა და სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებისათვის განკუთვნილი 3 სახელმძღვანელოსი. წლების განმავლობაში იგი იყო ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მედიცინის რედაქციის სამეცნიერო-რეგობრივი საბჭოს თავმჯდომარე.

პროფესორი ვახტანგ ალადაშვილი, ჯეზრდილი თავისი სახელოვანი მამის ალექსანდრე ალადაშვილის კლინიკის ტრადიციებზე, შესანიშნავად უთავსებდა ერთმანეთს პედაგოგიურ და მეცნიერულ მოღვაწეობას. მის ბრწყინვალე კლინიკურ ლექციებზე აღიზარდა ექიმთა არაერთი თაობა. ვახტანგ ალადაშვილის მდიდარი პედაგოგიური გამოცდილება განზოგადდა და აისახა შინაგან დაავადებათა შესახებ შექმნილ სახელმძღვანელოებში, რომლებმაც სამედიცინო საზოგადოების — საყოველთაო აღიარება მოიპოვეს.

ვ. ალადაშვილის მეცნიერული კვლევის სფერო უაღრესად ფართოა. მისი შრომები მეცნიერულ სიღრმესთან ერთად განსაკუთრებული აქტუალურობით გამოირჩევა, კერძოდ, აღსანიშნავია მისი ბოლოდროინდელი გამოკვლევა „უალკოჰოლო ღვინის“ სამკურნალო თვისებების შესახებ.

იგი იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე უკლებლივ ყველა თერაპიული, კარდიოლოგიური და გასტროენტეროლოგიური საზოგადოების სხდომისა. ვ. ალადაშვილს უდიდესი დამსახურება მიუძღვის მედიცინის პოპულარიზაციაში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით და რედაქტორობით 1981 და 1984 წლებში გამოიცა თერაპიული და საოჯახო ცნობარები.

ვახტანგ ალადაშვილის პიროვნება არ იზღუდებოდა მხოლოდ ვიწრო პროფესიული ჩარჩოებით, იყო სამედიცინო საკითხების პროპაგანდისტი, ხშირად გამოდიოდა ტელევიზიით, რადიოთი, პრესაში. არჩეული იყო არაბეთის ქვეყნებთან საქართველოს მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილედ.

ვახტანგ ალადაშვილის გარდაცვალება მისი მოღვაწეობის ყველაზე ნაყოფიერ პერიოდში აუნაზღაურებელი დანაკლისია მისი კოლეგებისათვის, მოწაფეებისათვის, მთელი სამედიცინო საზოგადოებისათვის.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი; საქართველოს სსრ თერაპიული, კარდიოლოგიური და გასტროენტეროლოგთა საზოგადოებები.

გაზეთ „კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 25 ივლისს.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი.

უფრთხილდით ხანძარს

ცხელ და მშრალ ამინდში ცეცხლთან მცირეოდენი გაუფრთხილებლობით შეიძლება ხანძარი გაჩნდეს.

ბაფხულის ხანძარსაშიშ პერიოდში საჭიროა გაძლიერდეს კონტროლი სახანძრო უსაფრთხოების რეჟიმის დაცვისადმი.

საწარმოო სათავსები და ობიექტის ტერიტორია სუფთად უნდა იყოს მოვლილი.

მშრალი თივა უნდა ითიბებოდეს რეგულარულად.

ხანძრის ჩასაქრობად განკუთვნილი ყველა წყალსაცავი მუდამ წყლით უნდა იყოს სავსე და ჰქონდეს თავისუფლად მისასვლელი გზები.

ყურადღება!

ტყის ხანძრების თავიდან აცილების მიზნით ზუსტად განაბორცელეთ პარკებში, დასასვენებელ ზონებში, ტყის მასივებში სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებანი.

იყავით ფრთხილნი ცეცხლთან, ნუ გაანაღებთ კოცონს, ნუ დაგდებთ ჩაუქრობელ ნამწვს.

შეუწყნარებელია ბავშვების ცეცხლთან თამაში.

საქართველოს სსრ სახანძრო დაცვის სამმართველო; საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება.

ᲗᲝᲚᲥᲝᲕᲘ

23 ივლისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — მოგზაურთა კლუბი. 10.35 — კონცერტი. 11.25 — გააკეთე თვითონ, გააკეთე ჩვენსავით, გააკეთე ჩვენზე. 12.25 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — ტრადიციების მემკვიდრენი. 16.35 — ხალხური შემოქმედება. 17.00 — ახალი ამბები. 17.05 — „ისინი ომმა გამოსცადა“. 17.40 — ელექტრონიკა და ჩვენ. 18.10— მხატვრული ტელეფილმი „საქანელა“. 19.15 — მღერის ირმა სოხაძე. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მულტფილმი. 20.20 — ჩვენი ბაღი. 20.50 — დოკუმენტური ფილმი „ქრთამი. ფაქტები და ფიქრები“. 21.35 — უკრავს ი. სლესარევი (ფორტეპიანო). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — საბჭოთა კავშირში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის დღეების გახსნა. 24.00 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — დოკუმენტური ტელეფილმი. 9.40 — მუსიკალური გადაცემა ბავშვებისათვის „ოქროს კარაბჟე“. (ჩეხოსლოვაკია). 10.30 და 21.50 — დოკუმენტური ფილმები. 11.10